საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 თებერვალი **სამშაბათი** 2013

№040 (13 956) ფასი 80 თეთრი

## ფიგუ: ინტერის მწვრთნელი?



იტალიური პრესა მსჯელობს „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სტრამაჩონის მომავლის შესახებ. რამდენიმე წყარო ირწმუნება, რომ ანდრეას შემცვლელი ლუიშ ფიგუ გახდება.

პორტუგალიური ვებგვერდი jogo.pt უფრო კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის. თუ სერია A-ს უახლოეს ტურში, მილანურ დერბიში „ინტერი" წააგებს „მილანთან", ფიგუ ამ მატჩის შემდეგ დაიკავებს სტრამაჩონის პოსტს.

# ვენგერს 0:0 უნდა...

## ...ჰაინკესი ფრთხილადაა



UEFA CHAMPIONS LEAGUE



# მილიარდი გაზაევისგან

## გაერთიანებული ჩემპიონატის მონაწილეებს ასტრონომიულ თანხებს სთავაზობენ



რუსეთისა და უკრაინის გაერთიანებული ჩემპიონატის მონაწილეებმა წელიწადში ერთ მილიარდ დოლარს მიიღებენ. ამის შესახებ ამბობს **ვალერი გაზაევი,** რომელიც მომავალი ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელია. ორგკომიტეტის ჩანაფიქრით, ლიგა ამ თანხას სპონსორებისგან, აგრეთვე მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებების გაყიდვიდან მიიღებს.

ჩემპიონატის ბიუჯეტი 1.34 მილიარდი ევრო იქნება. „გაზპრომის" ხელმძღვანელმა **ალექსეი მილერმა,** რომელიც გაერთიანებული პირველობის შექმნის ინიციატორად მიიჩნევა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი ჩემპიონთა ლიგის საპრიზო ფონდის შესაბამისი იქნება.

პირველი გაერთიანებული ჩემპიონატის გამართვა 2014-15 წლების სეზონში იგეგმება. პირველობისთვის იბრძოლებს ცხრა რუსული და ცხრა უკრაინული კლუბი. გუშინ გაიმართა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის პრემიერლიგის 14 კლუბისა და უკრაინის „ტავრიას" წარმომადგენლებმა.

ორგანიზატორების ჩანაფიქრით, უმაღლესი დივიზიონის საპრიზო ფონდი 800 მილიონი დოლარი იქნება, კიდევ 200 მილიონს პირველი დივიზიონის გუნდები მიიღებენ. ტურნირში მონაწილეობისთვის თითოეული გუნდი მიიღებს 22 მილიონ დოლარს, 370 ათას დოლარს გადაიხდიან თითო მატჩის მოგებისთვის, 120 ათასს - ფრესთვის. ჩემპიონი მიიღებს 92 მილიონ დოლარს, მეორეადგილოსანი - 74 მილიონს.

გაერთიანებული ჩემპიონატის შექმნის იდეა (თავდაპირველად ლაპარაკობდნენ დსთ-ის ქვეყნების ჩემპიონატზე) არაერთხელ გააკრიტიკეს. კერძოდ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ აუკრძალა თავის კლუბებს ტურნირში მონაწილეობა. დსთ-ის ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგი წავიდა ფიფა-ს პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი.**

შესაძლო ტრანსფერი



ლუკა ზარანდია

# ლუკა ზარანდია ელიტ რაუნდს ელის

## ვიტესი ყველაზე სასურველი ვარიანტია

**ლუკა ზარანდია** ქართველმა გულშემატკივარმა 2012 წლის შემოდგომაზე გაიცნო. **გიორგი დევდარიანის** 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ელიტ რაუნდის საგზური მოიპოვა. ტურნირზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი სწორედ ფლანგის ზარანდია გახლდათ – არაორდინალური, ტექნიკური და შედეგიანი ფეხბურთელი.

ზარანდიამ სამ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. თავი მხოლოდ უკრაინასთან (1:3) ვერ გამოიჩინა, ლუქსემბურგთან (3:1) მეტოქის კარი ერთხელ აილო, ხოლო გადამწყვეტ მატჩში შოტლანდიასთან (3:0) დუბლი შეასრულა.

ზარანდია 35-ე სკოლის გაზრდილია, შარშან კი თბილისის "ლოკომოტივმა" აიყვანა, რომელიც ბოლო წლებში ტალანტების კოლექციონერს ემსგავსება.

ლუკა თავის თაობაში ყოველთვის მოწინავეთა შორის იყოს. 2012 წელს ბაქოში გამართული "კასპიის თასის" საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. წლეულს კი უცნაური ამბავი მოხდა: იანვარში საქართველოს 17-წლამდელები მინსკის საერთაშორისო ტურნირზე უილბლოდ კი გამოვიდნენ (8 გუნდში მე-7 ადგილი), მაგრამ საუკეთესო ფორვარდად ლუკა ზარანდია დაასახელეს. ბოლოადგილოსანი გუნდიდან მოთამაშეს იშვიათად აღიარებენ და ესეც მეტყველებს მის ნიჭზე.

ლუკა ზარანდია სეზონისთვის თბილისის "ლოკომოტივში" ემზადებოდა. ორიოდე დღის წინ, გუნდი თურქეთიდან დაბრუნდა. თავდამსხმელმა არ დაგვიმალა, რომ მალე, შესაძლოა, ერთ-ერთი ძლიერი ევროპული ლიგის კლუბში აღმოჩნდეს.

*"ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შემდეგ რამდენიმე ევროპული კლუბი დაინტერესდა – გერმანული "ჰოფენჰაიმი", სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი", უკრაინის ორივე გრანდი - დონეცკის "შახტარი" და კიევის "დინამო", ორიც ჰოლანდიური - არნემის "ვიტესი" და ამსტერდამის "აიაქსი". ჯერ ეს ყველაფერი ინტერესია და კონკრეტულად არაფერი გადაწყვეტილა. მეც ნაკრებთან ერთად ელიტ რაუნდისთვის უნდა მოვემზადო და სატრანსფერო ამბებისთვის მერე მოვიცლი. მინდა, რომ სანაკრებო თამაშებს კარგ ფორმაში შევხვდე. მანამდე კლუბიდან კლუბში სიარული არ მარგებს, "ლოკომოტივში" კი მშვენიერი შეკრება გავიარე"*- ამბობს ზარანდია.

17 წლის თავდამსხმელი არ მალავს, რომ დასახელებული ვარიანტებიდან ყველაზე მეტად **მერაბ ჟორდანიას** "ვიტესი" იზიდავს: *"დაინტერესებულ კლუბებს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირთ. მაგრამ ყველაზე რეალური ვარიანტი, მაინც "ვიტესი" მგონია. ჩემი წასვლა 2012 წელსაც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შესარჩევი ციკლის თამაშები გველოდა, სულ შეკრებებზე დავდიოდი და ველარ წავედი. თუმცა, არნემული კლუბი დღეისათვის ყველაზე რეალური და სასურველი ვარიანტია. ელიტ რაუნდის თამაშები 25 მარტს დაიწყება და სავარაუდოდ, ამის შემდეგ "ვიტესში" წავალ. როდესაც თბილისში ჩამოვიდა, კლუბის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ველაპარაკე. მითხრა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა რომ არ ვართ, ამის გამო, ჯერ კონტრაქტს ვერ გავაფორმებ, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე 3 თვით სტაჟირებაზე ჩავალ, საქართველოშიც კავშირი მექნება და მათი ზედამხედველობით ვივარჯიშებ".*

ზარანდია ამბობს, რომ მინსკის ტურნირზე წარუმატებლობის მიუხედავად, ნაკრების სჯერა: *"ბელარუსში ძალიან არ გაგვიმართლა. დიდი ანგარიშით მოგების ნაცვლად, ლიტვასთან 0:3 წავაგეთ. მაგრამ ეს იყო უილბლობა და არა კანონზომიერი შედეგი. მინსკში ჩვენი გუნდი ყველას მოეწონა და ამიტომაც მჯერა, რომ ელიტ რაუნდში გაცილებით უკეთესად ვითამაშებთ"*

**მერაბ მამუალაშვილი**

### მილოცვა

**საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისი" ცნობილ ქართველ ფოტოჟურნალისტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ჩვენი კლუბის ქომაგსა და ქართული სპორტის დიდ მოამაგეს ბატონ სანდრო კოტორაშვილს ულოცავს 70 წლის იუბილეს, უსურვებს მას ჯანმრთელობას და პროფესიულ წარმატებებს.**

ჩიხურა

## სოსო ფრუიძე:

# ევროპა, ანუ კიდევ ერთი სენსაცია

**საჩხერის „ჩიხურამ" მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი მეოთხე ადგილზე დაასრულა, რაც უმაღლესი ლიგის დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ სერიოზული შედეგია მიუხედავად იმისა, რომ „ჩიხურა" მეტწილად გამოცდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული.**

**„ჩიხურა" საშუასეზონო პერიოდში თურქეთში იყო შეკრებაზე და ახლახან დაბრუნდა. გუნდის მთავარ მწვრთნელ სოსო ფრუიძესაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**



სოსო ფრუიძე

**- ხელისშემშლელი ფაქტორები ხომ არ გქონიათ თურქულ შეკრებაზე?**

- რა მიზანიც გვქონდა, თითქმის ბოლომდე შევასრულეთ, თუ არ ჩავთვლით ყაზახურ „კასპიის", თურქულ შეკრებაზე საკმაოდ ძლიერ გუნდებს ვეთამაშეთ. ნორმალურ მოედნებზე ვვარჯიშობით და ვთამაშობდით, ამინდებმაც ხელი შეგვიწყვეს.

**- „ჩიხურას" ახალწვეულებზე რას გვეტყოდით?**

- დავით ბოლქვაძე და შოთა კაშია საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები არიან და დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან გააძლიერებენ ჩვენს გუნდს. საკონტროლო შეხვედრებში კაშია დაცვის ორივე ფლანგზე ვათამაშეთ და ერთხელაც გამოჩნდა, რომ მას ორივე ფრთაზე შეუძლია სარგებლობის მოტანა.

**- გაგა ჩხეტიანმა რა შთაბეჭდილება დატოვა? იყო დრო, როცა ის საკმაოდ პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლებოდა...**

- თურქეთში მან ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი, გოლებიც გაიტანა, ვნახოთ, რა როგორ იქნება, ჩხეტიანმა თუ ასე გააგრძელა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.

**- თურქეთში გამართულ საკონტროლო შეხვედრებში ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაშობდით?**

- ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი, მის უკან კიდევ ერთი ფორვარდი და ორი შემტევი ფლანგებზე - ასე ვითამაშეთ საკონტროლო შეხვედრებში. თავდამსხმელის უკან ნიკა კვასხვაძე თამაშობდა ამ სეზონში, ამ პოზიციაზე თურქეთში ბოლქვაძე გავამწესეთ. ახლა თასის მატჩები გველის ქობულეთის „შუქურასთან" და იმ დროისთვის ჩამოვყალიბდებით ასეთ საკითხებზე. სხვათა შორის, „შუქურა" საკმაოდ სერიოზულად მოემზადა, თურქულ შეკრებაზე ეს გუნდიც იყო წასული.

**- ამ საშუასეზონო პერიოდში „ჩიხურაში" განხორციელებული ტრანსფერებით ბოლომდე კმაყოფილი ხართ? კიდევ ხომ არ აპირებთ ფეხბურთელების დამატებას?**

- კიდევ ორი ფეხბურთელის აყვანა გვინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა - გიორგი გაბედავამ და ირაკლი ქობალიამ „ზუგდიდში" დარჩენა გადაწყვიტეს.

**- ლაპარაკი იყო ირაკლი ჩირიკაშვილის დამატებაზეც...**

- ჩირიკაშვილს სათამაშო პრაქტიკა აკლია, თორემ მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი, აზრიანი ფეხბურთელია.

**- ამ კონტინგენტით რა მიზანს შეეჭიდება „ჩიხურა"?**

- ჩვენი მიზანია, რომ საჩხერის „ჩიხურას" ისტორიაში ახალი ფურცელი დაიწეროს: თასის გათამაშებიდან ან ჩემპიონატიდან ევროსაგზურის მოპოვება. „ჩიხურას" გულშემატკივარს მსურს ვუთხრა, რომ გუნდი თავდადებით ითამაშებს.

**- ალბათ, ადევნებთ თვალყურს იმასაც, თუ როგორ მოემზადნენ სეზონის განახლებისთვის ზედა ექვსეულის სხვა გუნდები- ჩემპიონობის უკეთესი შანსი ვის უნდა ჰქონდეს?**

- სეზონის მეორე ეტაპისთვის სერიოზულად ემზადებიან „დინამო", „დილა", „ტორპედო"... პირველ ეტაპზე პატარა სენსაცია მოვახდინეთ და მეოთხე ადგილზე გავედით, ვეცდებით, რომ მეორე ეტაპზეც მოვახდინოთ სენსაცია...

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# რატომ შეჩერდა ბაზის მშენებლობა?

"ზესტაფონის" ბაზაზე მოედნის ბუნებრივსაფარიან გაზონს ძველებურად მაღალ დონეზე უვლიან, სამაგიეროდ, გასული წლის გვიანი შემოდგომიდან ბაზის მშენებლობა შეჩერებულია. ამის მიზეზი ბიზნესმენ **გიორგი გურულის** განცხადებაა, რომელიც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ამხელს. ამ საქმის პოლიტიკურ თუ ფინანსურ დეტალებს ჩვენ ახლა ვერ ჩავუღრმავდებით, ამისთვის ჟურნალისტური გამოძიებაა საჭირო.

გიორგი გურულის ბრალდების საპასუხოდ კი გუშინ "ზესტაფონმა" პრესსამსახურის უფროსის, **სერგო ფუტკარაძის** მეშვეობით განცხადება გაავრცელა. ფუტკარაძის თქმით, კლუბს აქეთ აქვს პრეტენზია გურულთან, რადგან იგია თანამფლობელი კომპანია "დომინუსისა", რომელიც ბაზის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს. ფუტკარაძის განცხადებით, "დომინუსს" "ზესტაფონის" 236 ათასი ლარი მართებს და ამ თანხის მისაღებად კლუბი სასამართლოში ჩივის.

*"ჩვენ პოლიტიკისგან ყოველთვის გამიჯნულები ვიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავს ვითარებას მაინც ვერ ავცდით. ვწუხვარ, რომ ჩვენი კლუბის მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებები ჟღერდება. იმედი გვაქვს, ეს უსიამოვნო ვითარება მალე დასრულდება და ჩვენი ბაზის მშენებლობა გაგრძელდება"*, - განაცხადა სერგო ფუტკარაძემ.

გუშინ "ზესტაფონის" გულშემატკივრები ბაზაზე შეიკრიბნენ და საკუთარი პოზიცია საჯაროდ დააფიქსირეს. მათი აზრით, კლუბის პრეზიდენტს ბრალს დაუსაბუთებლად სდებენ.

საბედნიეროდ, კლუბის ყოველდღიურ ყოფაზე შექმნილი ვითარება უარყოფით გავლენას არ ახდენს. "ზესტაფონი" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას ჩვეული რეჟიმით განაგრძობს. ჩვენი მხრივ კი იმედს გამოვთქვამთ, რომ მტყუან-მართალი მალე გაირკვევა და კლუბის ბაზის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დასრულდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

# გიორგი ფანცულაიას სასურველი გარემო


გიორგი ფანცულაია

"ტორპედომ" ესპანური შეკრება დაასრულა და სამშობლოში გუშინ დაბრუნდა. ფეხბურთელები ორიოდე დღე დაისვენებენ და ვარჯიშს ქუთაისში განაახლებენ.

**მოსამზადებელ ეტაპზე მშვენიერი შედეგიანობა აჩვენა გიორგი ფანცულაიამ – 18 წლის თავდამსხმელმა ხუთ შეხვედრაში მეტოქეთა კარი 9-ჯერ აილო! ეს ამბავი იმიტომაც გვახარებს, რომ მალე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ბელგიაში ელიტ რაუნდის შეხვედრები ელის და თითოეული მისი წევრისა და კანდიდატის მდგომარეობა განსაკუთრებით გვაინტერესებს.**

**გიორგი ცნობილი ფეხბურთელის, 80-იანი წლების ბოლოს თბილისის "დინამოს" ერთ-ერთი გამორჩეული ნიჭის მქონე ფეხბურთელის, მამუკა ფანცულაიას შვილია. უთამაშია საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში, რომლებიც ელიტ რაუნდში გავიდნენ. თუ შრომა არ დაეზარება, ბევრი ფიქრობს, რომ შესაძლოა, მამაზე უკეთესი კარიერაც აიწყოს.**

**"ლელომ" ესპანეთიდან დაბრუნებულ თავდამსხმელს ინტერვიუ ჩამოართვა:**

- ძალიან კარგი შეკრება და თამაშები გვქონდა. ისეთ გუნდებს შევხვდით, რომ წარმოუდგენელია, ეს შემდგომში არ წაგვადგეს და მიმაჩნია, რომ გუნდი გაიზარდა. გულში ხინჯად მხოლოდ ის დამრჩა, რომ კიევის "დინამოსთან" მატჩში მცირე ტრავმის გამო მოედანზე ვერ გავედი. არადა, უკრაინელებთან თამაში ყველაზე მეტად მსურდა.

**- მოსამზადებელ ეტაპზე საკმაოდ ბევრი გოლი გაიტანე. ეტყობა, ახალწვეულის სინდრომიდან გამოდიხარ.**

- განსაკუთრებით ბუქარესტის "რაპიდთან" და "ოცელულთან" გოლებმა გამახარა. რუმინელებს ძლიერი გუნდები ჰყავთ და ასეთი თამაშებისა და გოლების შემდეგ უფრო თავდაჯერებული ხდები.

მთავარია, ფეხბურთელი გაიხსნა და მერე ყველაფერი კარგად მიდის. ჩემ გარშემო სასურველი გარემო შეიქმნა: ძალიან ბევრს ნიშნავს, გია გეგუჩაძესთან რომ მოხვდები. მას ფეხბურთელებთან ისეთი მიდგომა აქვს, რომ სულ გაიმედებს და ძალას გმატებს. რაც უნდა ძლიერი მეტოქე იყოს, კიევის "დინამო" იქნება თუ "რაპიდი", ყველასთან ერთი და იმაზვე დავალებებს გვაძლევს – უნდა მოვიგოთ და პირველ ნომრად ვითამაშოთ. თავიდან თუ ეს გიკვირს, მერე ეჩვევი და არ შეიძლება ამბიცია არ გაგიჩნდეს.

ხელს მიწყობს რეჟიმის დაცვა, შეკრებაზე სულ მობილიზებული და ტონუსში ვარ, დროულად ვიძინებ და ვდგები, რასაც საჭირო კვება ემატება და ეს თამაშებზეც აისახება. და თუ ერთხელ "გაგეხსნა", მერე თავდაჯერებული და თამამი ხდები.

**- "ტორპედო" ლიდერებს კატასტროფული სხვაობით არ ჩამორჩება. თუმცა, მეორე ამბავია, აქვს კი გუნდს საჩემპიონო პოტენციალი?**

- წინა ჩემპიონატში მე-3 ადგილი დავიკავეთ, ახლა კი ერთი საფეხურით უნდა ავიწიოთ. მაგრამ მე თუ მკითხავთ, "ტორპედოს" საჩემპიონო პოტენციალიც და რაც მთავარია, სულისკვეთებაც გააჩნია. თანაც, კონკურენტებისგან განსხვავებით, ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ სტაბილური შემადგენლობა გვყავს.

**- გუნდი კარგად შეთამაშდა?**

- იდეალურამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია, მაგრამ წინა წელთან შედარებაც არ არის. ფეხბურთელები ერთმანეთს შევეგუეთ და უსიტყვოდ ვგრძნობთ. თანაც, გუნდი კი არ ჭიდაობს, არამედ, გააზრებულ ფეხბურთს აჩვენებს.

**- ძლიერ მეტოქეებთან სპარინგში საკუთარ ნაკლს უკეთ დაინახავდი.**

- ეს ძირითადად, გამოუცდელობა იყო. მეტი საერთაშორისო ტურნირი და თამაში ნებისმიერ მოთამაშეს ზრდის. როდესაც ევროპაში იშვიათად გადიხარ, არც მეტოქეთა შესაძლებლობები იცი და არც ის ნიუანსები, რაც შეიძლება დაუპირისპირო. პირადად მე, ესპანეთში შემდეგ ბევრად უფრო თავდაჯერებული და თამამი გავხდი და ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან კარგი შეკრება გვქონდა.

**- მამა შეცდომებზე მიგითითებს?**

- მე თუ ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი, ეს მამუკას დამსახურებაა. როდესაც სახლში ვარ, სულ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ და ცხადია, მირჩევს, რა და როგორ გავაკეთო. მამამ კარიერა ნაადრევად დაასრულა და სულ მთხოვს, მცირედით არასოდეს დავკმაყოფილდე და სულ წინსვლაზე ვიფიქრო.

**- გეგუჩაძე მარცხენა ფლანგზე გათამაშებდა?**

- უფრო მარცხენა ფლანგზე, მაგრამ რამდენჯერმე ცენტრალურ თავდამსხმელადაც გამამწესა.

**- ელიტ რაუნდში ნაკრების შანსებზე რას იტყვი?**

- ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს, ინგლისი, შოტლანდია და მასპინძელი ბელგია, მაგრამ მიმაჩნია, რომ უშანსოდ არ ვართ. ფავორიტ ინგლისთან წარმატებული თამაშის გამოცდილება ჩემმა თაობამ ჯერ კიდევ წინა ციკლში შეიძინა. მაგრამ დარჩენილ დროში ბევრი მუშაობა დაგვჭირდება, ევროპის ჩემპიონატზე რომ გავიდეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი


ელგუჯა ქომეთიანი

# ორი ფრე ერთ დღეს

"ზუგდიდმა" თურქულ შეკრებაზე ერთ დღეს კვლავ ორჯერ ითამაშა. ზუგდიდელთა ოპტიმალურმა შემადგენლობამ რუსეთის მეორე ლიგის ბინადრის, სარატოვის "სოკოლის" წინააღმდეგ მოსინჯა ძალები. ქართულ-რუსულ სპარინგში ორმხრივ შეტევებთან ერთად, მინდორზე ხისტი თამაშიც იგრძნობოდა, მაგრამ გუნდები სპორტული პრინციპების დაცვით მოქმედებდნენ და ამავე პრინციპით დაშორდნენ ერთმანეთს. თავდაპირველად, რუსებმა გახსნეს ანგარიში - ზუგდიდელთა კარში ბურთი **შერბაკოვმა** გაიტანა. სარატოველები აქამდეც კონტრშეტევებზე აგებდნენ თამაშს და გატანილი გოლით შეგულიანებულებმა, დაცვით ტაქტიკას მიმართეს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონტრშეტევებისას რუსები სწრაფად მოქმედებდნენ.

ზუგდიდელებმა ანგარიშის გათანაბრება ტაიმის მიწურულს შეძლეს. **ლევან აკობიასა** და **როინ ონიანის** გათამაშებული კომბინაცია ეფექტური თავური დარტყმით **ირაკლი ეხვაიამ** გოლად აქცია. მეორე ტაიმში ისევ რუსებმა იხეირეს და შეცვლაზე შემოსულმა **სეკრეტოვმა** ქართველთა დაცვის შეცდომის წყალობით საკუთარი გუნდი ისევ დააწინაურა. "სოკოლის" ფეხბურთელებს სიხარული ნაადრევი გამოუვიდათ, ვინაიდან ერთ წუთში **გიორგი გაბედავამ** მათ გამთანაბრებელი გოლი გაუტანა. კუთხურის ალამთან **შოთა ლომიამ ლევან წურწუმიას** დაუგორა ბურთი, ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით ბურთი კარის ბაქანთან ჩაჰკიდა, აქ ყველას გაბედავამ დაასწრო და ანგარიში 2:2 გახადა.

ამის შემდეგ რუსები საკუთარ ნახევარზე დაბანაკდნენ, ზუგდიდელებმა კი არაერთი მომენტი შექმნეს. **ნიკა აფაქიძის** შორეული დარტყმული მეკარემ მოიგერია, ხოლო შემდეგ სარატოველთა მეკარე **ბუგოდინოვმა ზვიად სიხარულიას** დაასწრო და არ გაატანინა. ბოლო წუთებზე კი სარატოველთა კარი ძელმა იხსნა. ეს შეხვედრა 2:2 დასრულდა.

ზუგდიდელთა სარეზერვო გუნდისა და გერმანული ქვედა ლიგის "ფოილთსის" მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა. ზუგდიდელთა დამრიგებელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ორივე სპარინგში გუნდი თითქმის შეუცვლელად ათამაშა. იყო ერთი გამონაკლისი - ორივე თამაშის მეორე ნახევარში ახლად ტრავმამოშუშებული **ვალიკო ტყემალაძე** ათამაშა.

ზუგდიდელები "სოკოლს" ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდნენ: **ძაგანია, აფაქიძე, გამეზარდაშვილი, აკობია, რ. ონიანი, სიხარულია, გუგუჩია, წურწუმია, შ. ლომია, ეხვაია, გაბედავა.**

რაც შეეხება ზუგდიდელთა მეორე შემადგენლობას - გერმანელთა წინააღმდეგ მათი განაცხადი ასეთი იყო: **მაქაცარია, კანკია, აქუბარდია, ხუხია, ქვარცხავა, ხუბუა, მალანია, გამრეკლიძე, შონია, ქანთარია, ფარჯიკია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# დობროვოლსკის ქართველებზე გული მოუბრუნდა

ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონმა" კიშინიოვის "დაჩია" რომ გამოაგდო, მოლდოვასა და საქართველოს საფეხბურთო სამყაროს შორის პატარა საფეხბურთო ომი დაიწყო. კიშინიოველთა მთავარმა მწვრთნელმა **იგორ დობროვოლსკიმ** მაშინ გარკვევით თქვა, რომ მის გუნდში ქართველ ფეხბურთელს აღარ მიიწვევდა.


იგორ დობროვოლსკი

მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ მისი თანხმობით 2012 წელს "დაჩიაში" ქართველი ჩაირიცხა: 19 წლის ნახევარმცველი **ლუკა თათხაშვილი** ზაფხულში გუნდის დუბლშემადგენლობაში იყო, დეკემბრიდან კი ძირითად გუნდში გადაიყვანეს და ნელ-ნელა შემადგენლობაში იმკვიდრებს ადგილს.

ლუკა მოლდოვამდე გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით იმ "საბურთალოში" თამაშობდა რომელიც ბოლნისის "სიონის" სახელით დუბლშემადგენლობების ჩემპიონატში ასპარეზობდა. მერე გორის "დილაში" გამოდიოდა, ბოლოს ისევ "სიონში".

როგორ მოიგო თათხაშვილმა ქართველებზე გამწარებული დობროვოლსკის გული?

*"სიმართლე გითხრათ, დობროვოლსკის ასეთი დამოკიდებულების მიზეზი არ ვიცი, მაგრამ აშკარად კეთილგანწყობილია და პრესაში ჩემზე ისეთი თბილი კომენტარი გააკეთა, გამიკვირდა – ამ ბიჭმა ქართველებისკენ გამახედაო. მესიამოვნა, რადგან დიდი ფეხბურთელი იყო, "ჯენოაში", "მარსელსა" და მადრიდის "ატლეტიკოში" უთამაშია და მისგან ასეთი დახასიათება ჩემთვის დიდი სტიმულია. საერთოდ, მონდომება და თავდადება ნაღდად არ მაკლია და 2 თვის წინ ძირითადში გადმომიყვანა"* – ამბობს თათხაშვილი.

ქართველმა შეკრებაზე "დაჩიაში" ხუთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა: *"უმაღლესი ლიგის გუნდში ბევრად დიდი მოთხოვნებია და ყველაფერს ვაკეთებ, სეზონის დასაწყისს ოპტიმალურ ფორმაში რომ შევხვდე. შეკრებაზე გოლი არ გამიტანია, მაგრამ სამი საგოლე პასი მივეცი. ჩემპიონატში თამაშები მომიწევს თუ არა, წინასწარ ამაზე არაფერს ვიტყვი, რადგან ფეხბურთში უამრავი გაუთვალისწინებელი ფაქტორი ხდება. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე უმაღლესი ლიგის გუნდებთან თამაში არც ფიზიკურად გამჭირვებია და არც ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით. როგორც მოგვიანებით გენერალური დირექტორისგან გავიგე, დობროვოლსკიზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მომიხდენია, კარგი თვალით მიყურებს და მოლდოველ ჟურნალისტთან ჩემზე ამის შემდეგ ილაპარაკა. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. მაგრამ ეს ნამდვილად არ მამშვიდებს, ფეხბურთში სულ ფორმაში თუ არ იქნები, ლეგიონერს კლუბში ადგილი გარანტირებული არ გექნება – შენ ყოველთვის ადგილობრივზე ორჯერ მეტს გთხოვენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფეხბურთი

სპარტაკი



# სპარტაკმა მონტანა დაამარცხა

პირველი ლიგის ლიდერმა ცხინვალის "სპარტაკმა" ანთალიური შეკრება 17 თებერვალს დაასრულა. თურქეთში მზადების ბოლო დღეს **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა კიდევ ერთი, რიგით მეოთხე ამხანაგური მატჩი გამართა. ავსტრიულ „ბლაუ ვაისთან" მარცხის (1:2), ჩინურ „ჰანჯოუ გრინთაუნთან" ფრისა (2:2) და უკრაინულ „ოლექსანდრიასთან" მოგების (2:0) შემდეგ, "სპარტაკი" ბულგარეთის მთავარ ლიგაში მოასპარეზე „მონტანას" გაეჯიბრა.

ცნობისთვის, "მონტანა" 1947 წელს დაარსდა და ბოლო პერიოდში ისეთი ცნობილი ფეხბურთელი გაუზრდია, როგორიც ბულგარეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **სტილიან პეტროვია.** მან თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 106 მატჩი ჩაატარა, 8 გოლი გაიტანა და ისეთ ცნობილ გუნდებში უთამაშია, როგორებიც შოტლანდიური "სელტიკი" და ინგლისური "ასტონ ვილაა".

...შიდაქართლელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და სწრაფი გოლით შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ორი რეალური შანსი ხელიდან გაუშვეს. **ზვიად მეტრეველმა** მე-11 წუთზე კარგი საგოლე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. 5 წუთში იმავე მეტრეველის ნაქცევისთვის, „მონტანას" კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, მაგრამ სპარტაკელთა კაპიტანმა **თეიმურაზ შონიამ** პენალტი გოლად ვერ აქცია. მიუხედავად ამისა, ცხინვალელებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს, შეტევები აქტიურად გააგრძელეს და ტაიმის ბოლოს შედეგიც მოიმკეს, 43-ე წუთზე მეტრეველმა ანგარიში გახსნა და მატჩის პირველი ნახევარიც ასე დასრულდა.

მეორე ტაიმი ბულგარელებმა უკეთ დაიწყეს და მე-60 წუთზე წონასწორობა აღადგინეს. თუმცა ამის შემდეგ სპარტაკელებმა იერიშები გაამწვავეს. ცხინვალელებს გაშვებული გოლიდან მალევე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ეს მხოლოდ თამაშის ბოლო ნაწილში შეძლეს. 83-ე წუთზე შიდაქართლელთა ახალბედა ფორვარდმა **თამაზ მაქაცარიამ** საბოლოო შედეგი, "სპარტაკის" სასარგებლოდ, 2:1 დააფიქსირა.

"მონტანასთან" ცხინვალელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ნადირაძე, ჭაფოძე, ქურდაძე, თვალავაძე, ლემონჯავა, თუხარელი, ხიზანეიშვილი, შონია, კილასონია, ბურძენაძე, მეტრეველი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **კაკაშვილი, მაქაცარია, ხარაზიშვილი, ნარიმანიძე, ხუბეჟოვი.**

"სპარტაკი" უკვე გამოემგზავრა სამშობლოში და სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას თბილისში აგრძელებს. ცხინვალელები სეზონს 26 თებერვალს, საქართველოს თასის მერვედფინალში, "ვიტ ჯორჯიასთან" გასვლითი მატჩით განაახლებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გაგრა

# ამნისტირებული კაპიტანი

26 თებერვალს საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში ქუთაისში "ტორპედო" "გაგრას" უმასპინძლებს, განმეორებითი მატჩი კი 2 მარტს თბილისში, "მერანის" სტადიონზე გაიმართება.

პირველი ლიგის "გაგრა" ამ შეხვედრისთვის სახეცვლილი შემადგენლობით ემზადება. გუშინ მუხრანში **ზვიად ჯელაძის** განვრთნილებმა სეზონის განახლებამდე ბოლო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს - "გაგრა" პირველი ლიგის სტუ-ს შეხვდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში გუნდს ახალი კაპიტანი ეყოლება. ამერიკაში სინჯებზე წასული **ირაკლი ხუციძის** ნაცვლად, სამკლავურს ცენტრალური მცველი **ლაშა კალანდაძე** მოირგებს. 2012 წლის შემოდგომაზე, "რაჭასთან" შეხვედრაში, კალანდაძემ მსაჯი შეურაცხყო. ამის გამო იქვე წითელი ბარათი დაიმსახურა, მერე კი სადისციპლინო კომიტეტმა 6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

მომხდარის გამო, ამტკიცებდნენ, რომ ლაშას კლუბიდან წასვლაზეც დაფიქრდნენ. მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშებმა 21 წლის ფეხბურთელმა საქმით დაამტკიცა, რომ ღირსეული მოთამაშეა. სულზე მიუსწრო საფეხბურთო ამნისტიამაც - წესით, მას "ტორპედოსთან" პირველი სათასო შეხვედრა უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის 21 იანვრის სხდომაზე მიღებული დადგენილებით, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს, პირველ და ჭაბუკთა ლიგაში და ეროვნული თასის გათამაშებაში 1 იანვრამდე მიღებული ყვითელ-წითელი ბარათები გაუქმდა და კალანდაძემ თამაშის უფლება მიიღო.

**მერაბ მამულაშვილი**



ლაშა კალანდაძე

ფეხბურთი ყველასათვის

# ახალი ტურნირი

საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირს მინი-ფეხბურთში ჭაბუკთა შორის. ორგანიზატორები არიან სპორტული კლუბი „მორკინალი 2011" და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ოჯახთა შემწეობის ფონდი „მეოხი-2004".

პირველი ტურნირი თბილისის საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობით გაიმართა. საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა 115-ე საჯარო სკოლის „მორკინალმა", მეორე ადგილზე 35-ე საჯარო სკოლელები გავიდნენ, მესამე ადგილს კი 192-ე საჯარო სკოლის „დიდი დიღომი" დაეუფლა.

**„ლელოს" კორ.**

რეალი

# რამოსი მსაჯების წინააღმდეგ

ესპანეთის ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩში მადრიდულ დერბიში „რეალმა" „რაიო ვალეკანო" 2:0 დაამარცხა. გამარჯვებულთაგან გოლები **ალვარო მორატამ** და **სერხიო რამოსმა** გაიტანეს, თუმცა ესპანეთის ნაკრების მცველი კინალამ ანტიგმირი გახდა - მე-18 წუთზე ხელით თამაშისთვის მე-2 ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდი 10 კაცის ამარა დატოვა.



ეს ეს არის, სერხიო რამოსი მოედნიდან გააძევეს

მატჩის შემდეგ სერხიო რამოსი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა: *„ჩემი გაძევება ძალიან იოლი რამ გახდა და ეს ძალიან მაშფოთებს. ეს არ არის ნორმალური, როცა ფეხბურთელს ორ წუთში ორ ყვითელ ბარათს აძლევენ. ძალიან ვნანობ, რომ ჩემი თანაგუნდელები უმცირესობაში დავტოვე, მაგრამ მგონია, რომ ეს მთლად ჩემი ბრალიც არ არის. ესპანური ფეხბურთი იმსახურებს კარგ არბიტრებს, რადგან ეროვნულ ჩემპიონატში დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ".*

## და... რამოსი ჟოზეს წინააღმდეგ

**ჟოზე მოურინიოს** სერხიო რამოსთან რთული ურთიერთობა აქვს, ბოლო დროს რამოსი საჯაროდ მხარს უჭერდა პორტუგალიელს, მაგრამ ეს ზავი ისევ დაირღვა, მიზეზი კი „რაიო ვალეკანოსთან" თამაში სულაც არ არის.

„მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:1 დასრულებულ მატჩში რამოსის კისერზეა **დენი უელბეკის** გოლი, ესპანელმა მცველმა ვერ მოასწრო ფორვარდთან საჰაერო დუელში შესვლა და ახალგაზრდა ინგლისელმაც თითქმის ხელისშეუშლელად გადაგზავნა ბურთი **დიეგო ლოპესის** კარში.

შეცდომა თავად სერხიო რამოსმაც აღიარა, მაგრამ ის გააღიზიანა ჟოზეს უკმაყოფილებამ და საჯარო გამონათქვამებმა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით: *„თითოეული ადამიანი თავისუფალია საკუთარი აზრის გამოთქმაში. მაგრამ მე ჩემი სტილი მაქვს, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩემი აღზრდით - არასოდეს არ დავაბრალო სხვას არაფერი. ყველაზე მეტად ეს ეხება თანაგუნდელებს და გუნდურ პრინციპებს. „რეალი" ახლა ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული"*, - განაცხადა რამოსმა, რომელმაც ირიბად მიანიშნა, რომ ჟოზე მოურინიოს აღზრდა აკლიაო.

სელტა

# მშვიდობით პაკო! სელტამ მწვრთნელი გააგდო...

## ... და დანიშნა - გალისიურ კლუბს აბელ რესინო გაწვრთნის

ლა ლიგის ამ სეზონში მე-8 მწვრთნელი დაემშვიდობა თანამდებობას - ვიგოს „სელტას" ხელმძღვანელობამ ცუდი შედეგებისთვის **პაკო ერერა** გაათავისუფლა. 24-ე ტურში „სელტა" „ხეტაფესთან" 1:3 დამარცხდა. გალისიელები 20 ქულით გასავარდნ ზონაში არიან.

„მარკა" გუნდის ახალი თავკაცის ვინაობასაც გვამცნობს - **აბელ რესინო** შეეცდება გუნდის გადარჩენას და მისთვის ადგილის ელიტაში შენარჩუნებას. რესინოს „ატლეტიკოში", „ლევანტესა" და „გრანადაში" უმუშავია. რესინო 53 წლისაა.

შეგახსენებთ, რომ აქამდე მწვრთნელები შეეცვალათ: „ესპანიოლს" (**მაურისიო პოჩეტინო**), „ვალენსიას" (**მაურისიო პელეგრინო**), „დეპორტივოს" (**ხოსე ლუის ოლტრა** და **დომინგუშ პასიენსია**), „სევილიას" (**მიჩელი**), „გრანადას" (**ხუან ანტონიო ანკელა**) და „მალიორკას" (**ხოაკინ კაპაროსი**).

სავარაუდო ტრანსფერი

# სად წავა ბეილი: რეალში თუ ბაიერნში?

სამეფო კლუბი მზადაა უელსელის სანაცვლოდ 60 მილიონი ევრო გადაიხადოს!

„ტოტენჰემის" გარემარბ **გარეთ ბეილით** კარგა ხანია, დაინტერესდა მადრიდის „რეალი", თუმცა უელსელი ფეხბურთელის ხელში ჩაგდება მხოლოდ „სამეფო კლუბს" არ სურს - ზაფხულში მადრიდელებს სერიოზული კონკურენტი ეყოლებათ **ხოსეპ გვარდიოლას** „ბაიერნის" სახით.

მიუნხენელთა მომავალ დამრიგებელს ძალიან მოსწონს ბეილი და მისი მეშვეობით რეკორდმაისტერის მარცხენა ფრთის გაძლიერება სურს.

თუმცა „სამეფო კლუბს" ერთი უპირატესობა აქვს - როგორც „მარკა" წერს, „რეალმა" მიაღწია შეთანხმებას, რომ ბეილთან დაკავშირებით „ტოტენჰემს" პირველი შეევაჭროს. წინადადებაც მეტად მომხიბვლელი ჩანს ლონდონური კლუბისთვის - 60 მილიონი ევრო.

ბარსელონა

# სკანდალი ბარსელონაში: ლაპორტა კლუბის წევრებს უსმენდა!

როგორც „კატალუნია რადიო" იუწყება, „ბარსელონას" ყოფილი პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** კლუბის თანამშრომელთა მთელ ელექტრონულ კორესპონდენციას აკონტროლებდა.

რაც ყველაზე მთავარია, ამის შესახებ მხოლოდ მედიაში არ განაცხადეს, უკვე მიმართეს კატალონიის პროკურატურას შესაბამისი მტკიცებულებებით. ლაპორტას დროს თანამშრომელთა „მოსმენა" ვიცე-პრეზიდენტ **ფერან სორიანოს** ჰქონდა ჩაბარებული, ამ საქმეში მონაწილეობას იღებდა გენერალური დირექტორი **ჟოან ოლივერიც**, რომელმაც სპეციალური მოწყობილობა შეუკვეთა, რომლის წყალობითაც თანამშრომელთა მეილებს ამოწმებდნენ.

პროკურატურაში ამბობენ, რომ ლაპორტას არა და ორ სხვა ყოფილ ხელმძღვანელს შეიძლება დაემუქროს პატიმრობა. ეს ყველაფერი ხდებოდა კლუბში 2005-დან 2008 წლამდე. ჯერჯერობით უცნობია, მოწმდებოდა თუ არა ფეხბურთელთა კორესპონდენციაც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● იტალია. სერია A. XXV ტური

# ინტერის ფლორენციული კოშმარი
## ბალკანური გოლებით


მწვრთნელებს ყველაფერი სახეზე აწერიათ

**ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი კვირას, გვიან ღამით გაიმართა, რომელზეც დღეს უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ფლორენციაში „ფიორენტინამ" „ინტერი" მიიღო და მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა - 4:1. ეს არ იყო რიგითი მატჩი და განსჯვისთვისაც დიდი ინფორმაცია დაგვიტოვა.**

### ფიორენტინაა თუ ბარსა?

„ფიორენტინამ" საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა არა მარტო მიმდინარე სეზონში, შესაძლოა ბოლო წლებშიც კი... „ვიოლა" პრაქტიკულად უნაკლოდ ირჯებოდა და მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა. „ინტერის" კართან აურაცხელი რაოდენობის მომენტი შეიქმნა და რიგ ეპიზოდებში **სამირ ჰანდანოვიჩს** რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. რაც მთავარია, ფლორენციელებმა ალმაფრენით ითამაშეს, ულამაზესი ფეხბურთი აჩვენეს და მთელ საფეხბურთო იტალიის აღფრთოვანება დაიმსახურეს. მრავალსვლიანი კომბინაციები, ბურთის დაჭერა მთელს მოედანზე, დროული პრესინგი, მინიმალური წუნი გადაცემებში და კიდევ ბევრი საფეხბურთო ელემენტი, რომლის წყალობითაც „ვიოლამ" „ნერაძური" მიწასთან გაასწორა.

ფლორენციელთა ნახევარდაცვას რომ ბევრი შეუძლია, კიდევ ერთხელ დადასტურდა - **ალბერტო აკვილანი, დავიდ პისარო** და **ბორხა ვალერო** ისე ათამაშებდნენ ბურთს მოედნის შუაგულში, როგორც **ჩავი** და **ინიესტა** „ბარსელონაში", ფლანგებიდან კი თამაშს **მანუელ პასკუალი** და **ხუან კუადრადო** ამწვავებდნენ. შუახაზელებს ფორვარდებმაც აუბეს მხარი და შედეგი ტაბლოზე დაფიქსირდა. **სტევან იოვეტიჩმა** და **ადემ ლიაიჩმა** დუბლები შეასრულეს და მილანელებს ბალკანური კოშმარი მოუწყვეს. განსაკუთრებით იოვეტიჩის გოლებია ალსანიშნავი: ერთხელ ეფექტურად აუარა გვერდი მცველს და შორეული დარტყმით დალაშქრა ჰანდანოვიჩის კარი, მეორეჯერ კი ალბერტო აკვილანისგან საოცარი სილამაზის პასი მიიღო და დაგვირგვინება ალარ გასჭირვებია.

ბრავო „ფიორენტინას", **ვინჩენჩო მონტელას** გუნდმა უმაღლესი ხარისხის ფეხბურთი ითამაშა და დაუბრუნდა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლთა კოჰორტას.

### უსუსური ინტერი

„ინტერი" ბურთს მხოლოდ 37% ფლობდა, კარის ჩარჩოში კი სულ ერთხელ დაარტყა. **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდი სხვა ბევრ კომპონენტში დაიჩაგრა და მთლიანობაში, საშინელი ფეხბურთი აჩვენა. „ინტერის" მესაჭე განაგრძობს ექსპერიმენტებს და ვერაფრით ყალიბდება ძირითად შემადგენლობაზე. ამჯერად, სასტარტო თერთმეტეულში ახალწვეულები: **კუჟმანოვიჩი** და **კოვაჩიჩი** დააყენა, თუმცა ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. თანაც, ბალკანელები საყრდენად გაამწესა, მხოლოდ ჩაშლა დაავალა, როდესაც მათ შეტევის საკმაოდ დიდი დიაპაზონი აქვთ. თუმცა ეს დიდიც პირობითია - ზაგრების „დინამოში" და „შტუტგარტში" წარმატებით თამაში „ინტერში" არაფრის გარანტი არაა. პისარომ, აკვილანიმ და ბორხა ვალერომ „ნერაძურის" ახალწვეულებს ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარეს.

**დიეგო მილიტოს** ტრავმამ სტრამაჩონის კიდევ უფრო გაურთულა მდგომარეობა - „ინტერის" მწვრთნელი **ანტონიო კასანოსა** და **როდრიგო პალასიოს** იმედზეა - პირველს კლასი არ დაეწუნება, მაგრამ ფიზიკურ მომზადებაში მოიკოჭლებს, მეორეს კი სტაბილურობა აკლია. მოკლედ, „ინტერში" ბევრი პრობლემაა და ამ გუნდის მომავალიც თითქოს ბურუსითაა მოცული. სტრამაჩონის სამეულში სურს მოხვედრა, მაგრამ ვეჭვობთ, ამ რესურსით ეს თითქმის შეუძლებელია.

**ვინჩენცო მონტელა (ფიორენტინა):** *„ეს იყო საუკეთესო თამაში მიმდინარე სეზონში და შეგირდების მიმართ კარგის მეტი არაფერი მეთქმის. თუმცა თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ, რადგან სამუშაო კიდევ ბევრ კომპონენტზე გვაქვს. მაგალითად, გასვლით თამაშებზე ისე ვერ ვირჯებით, როგორც საკუთარ კედლებში და ეს სერიოზული მინუსია. თუ გუნდს ამბიციები აქვს, სტუმრადაც უმაღლეს დონეზე უნდა თამაშობდეს. ამ ყველაფერზე ბევრი სამუშაო გვაქვს".*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *„გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს „ინტერი" იმ გუნდის აჩრდილიც არ იყო, რომელმაც ჯერ „კიევო" დაამარცხა წინა ტურში, შემდეგ კი ევროპის ლიგაზე „კლუჟიც" ზედ მიაყოლა. მიუხედავად „ფიორენტინასადმი" ჩემი დიდი სიმპათიისა, მაინც უნდა ვთქვა, რომ ფლორენციელთა ასეთი ფეერული თამაში სწორედ ჩვენი ცუდი გარჯის დამსახურებაა. ეს ნაწილობრივ ჩემი ბრალია, რადგან ფლორენციელებს თითქმის იგივე შემადგენლობა დავუპირისპირე, რაც „კლუჟს" სულ რამდენიმე დღის წინ... როგორც ჩანს, ფეხბურთელები გადაიღალნენ და ასეთი შედეგიც ამად მოვიღეთ".*

**ლაშა ნიკლაური**

**იტალია. სერია A. XXV ტური**

**სიენა–ლაციო 3:0**

**გოლები:** 1:0 ემეგარა (7), 2:0 როზინა (23), 3:0 ემეგარა (61)L

**სიენა (3-4-3):** პეგოლო – ტეიშეირა, ტერლიცი, ფელიპე – ბელმონტე, დელა როკა, რუბინი, ვერგასოლა – სესტუ (60. ვალიანტი), როზინა (78. ბოლძონი) – ემეგარა (76. ბოგდანი).

**ლაციო (4-4-2):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიასი, ჩიანი (31. პერეირინია) – გონსალესი, კანდრევა (67. საა), ერნანესი, ლულიჩი - ფლოკარი (78. ედერსონი), კოზაკი.

**გაფრთხილება:** ჩიანი, პერეირინია

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 4-15 (3-8); **ბურთის ფლობა:** 39-61.

**მაყურებელი:** 8 679

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 50-17 | 55 |
| 2. ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 46-21 | 51 |
| 3. მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 44-31 | 44 |
| 4. ლაციო | 25 | 13 | 5 | 7 | 34-28 | 44 |
| 5. ინტერი | 25 | 13 | 4 | 8 | 40-33 | 43 |
| 6. ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45-30 | 42 |
| 7. კატანია | 25 | 11 | 6 | 8 | 32-30 | 39 |
| 8. რომა | 25 | 11 | 4 | 10 | 50-45 | 37 |
| 9. უდინეზე | 25 | 9 | 9 | 7 | 35-34 | 36 |
| 10. პარმა | 25 | 8 | 8 | 9 | 31-33 | 32 |
| 11. ტორინო | 25 | 7 | 11 | 7 | 29-28 | 31 |
| 12. სამპდორია | 25 | 8 | 6 | 11 | 31-30 | 29 |
| 13. კიევო | 25 | 8 | 5 | 12 | 26-40 | 29 |
| 14. კალიარი | 25 | 7 | 7 | 11 | 28-41 | 28 |
| 15. ატალანტა | 25 | 8 | 5 | 12 | 22-35 | 27 |
| 16. ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33-35 | 26 |
| 17. ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 26-36 | 25 |
| 18. სიენა | 25 | 7 | 6 | 12 | 27-34 | 21 |
| 19. პესკარა | 25 | 6 | 3 | 16 | 20-51 | 21 |
| 20. პალერმო | 25 | 3 | 10 | 12 | 22-39 | 19 |

**შენიშვნა:** სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა); 10 - კლოზე (ლაციო), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია), საუ (კალიარი).

● მოსალოდნელი დანიშვნა

# ჰაინკესი შალკეში?

„ბილდმა" გუშინ სენსაციური ცნობა გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, „შალკეს" ხელმძღვანელებს უნდათ, რომ ზაფხულიდან გუნდი **იუპ ჰაინკესს** ჩააბარონ! არადა, 67 წლის „დონ იუპს", რომელიც დღესდღეობით „ბაიერნს" ხელმძღვანელობს, სამწვრთნელო კარიერის დასრულება და პენსიაზე გასვლა აქვს გადაწყვეტილი. „ბილდის" ინფორმაციით, „შალკეს" შეფები ჰაინკესს უახლოეს მომავალში დაუკავშირდებიან და გელზენკირხენში მუშაობას შესთავაზებენ.

ალსანიშნავია, რომ „დონ იუპს" სიბერე ჯერ არ ეტყობა და თანაც, გელზენკირხენიდან 97 კილომეტრში ცხოვრობს. ჰაინკესი ერთხელ უკვე წვრთნიდა „შალკეს" (2002/04) - მაშინ იქ ჩვენებური **ლევან კობიაშვილიც** თამაშობდა. იმ სეზონში „შალკემ" ბუნდესლიგაში მეშვიდე ადგილი დაიკავა, მომდევნო სეზონი კი ცუდად დაიწყო, რის გამოც იუპი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად **რალფ რანგნიკი** დანიშნეს.

ჰაინკესის „შალკეში" შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით გუშინ „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** გააკეთა კომენტარი: *„ამის შესახებ არაფერი ვიცი. ჩემი ინფორმაციით, ჰაინკესი პენსიაზე გადის. მისი „შალკეში" დანიშვნა ხუმრობა მგონია."*

**გოტფრიდ ლენცი**


გადაიფიქრებს იუპ ჰაინკესი პენსიაზე გასვლას?

● ამბები


ალესანდრო ნესტა

### ნესტა კარიერას ასრულებს

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ **ალესანდრო ნესტა** მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. სანდრომ საფეხბურთო კარიერა ორ გუნდში: „ლაციოსა" და „მილანში" გაატარა, გასულ ზაფხულს კი კანადურ „მონრეალ იმპაქტში" გადაბარგდა. იტალიური სპორტული პრესის ცნობით, ნესტა კარიერის დასრულებას აპირებს და ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას სულ მალე გააკეთებს. ალესანდრომ კანადურ გუნდში მხოლოდ რვა მატჩი ჩაატარა, რაშიც ისევ და ისევ ტრავმებია დამნაშავე. ნესტას სწორედ ტრავმებთან უწევდა ბრძოლა მთელი კარიერის განმავლობაში, განსაკუთრებით კი წელის ქრონიკული ტკივილები აწუხებდა.

ნესტა წლების განმავლობაში იყო „ლაციოს" კაპიტანი, 2002 წელს კი „მილანში" გადაბარგდა და ლომბარდიულ გრანდში მთელი 10 სეზონი დაჰყო. ამ პერიოდში, სანდრომ პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ნესტა მსოფლიოს ჩემპიონია და ამასაც ალალად იმსახურებდა... მართალია, 2006 წლის მუნდიალის პირველივე შეხვედრაში დაშავდა და **მარკო მატერაცის** დაუთმო ადგილი, მაგრამ ამით მის დიდებას არაფერი დაჰკლებია. ნესტა კარიერას 36 წლის ასაკში ასრულებს.

### კავანი: ნაპოლის იოლად არ დავთმობ



„ნაპოლისა" და **ედინსონ კავანის** ხელშეკრულებაში პირდაპირ წერია, რომ თუ 26 წლის ურუგვაელის სანაცვლოდ რომელიმე გუნდი 63 მილიონ ევროს გადაიხდის და ფეხბურთელიც დათანხმდება სხვა გუნდში გადაბარგებას ნეაპოლური კლუბი ტრანსფერს წინ ვერ აღუდგება. ინგლისურ და იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე არაერთგზის დაიწერა, რომ „მანჩესტერ სიტის" მესვეურები ამ თანხის გადასახდელად მზად არიან და მაშინ რა გამოდის? - ბოლო სიტყვა თავად კავანიზე ყოფილა... ამ საკითხზე ედინსონი „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა:

*„პრესაში უამრავი ინფორმაცია იწერება და სიმართლე გითხრათ, დიდ ყურადღებას არც ვაქცევ. ჩემთვის არავის მოუმართავს და თუ შემეხმიანებიან, ამაზე შემდეგ დავფიქრდები. დღეს მხოლოდ „ნაპოლიზე" ვარ კონცენტრირებული და მსურს, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. 2010 წელს ნეაპოლელებმა ჩემი ირწმუნეს, „პალერმოს" დიდძალი თანხა გადაუხადეს და ამას არასოდეს დავივიწყებ. ერთი ვიცი, „ნაპოლის" იოლად არ დავთმობ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

**ლაშა ნიკლაური**



ინტერვიუ. დანი ალვეში

# ბრაზილიის ნაკრებმა მრისხანე გუნდის სტატუსი უნდა დაიბრუნოს

**დანი ალვეში** მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა მცველია. „ბარსელონას“ და ბრაზილიის ნაკრების მარჯვენა მცველი ფიფას ოფიციალურ საიტს გაესაუბრა და ბევრ საინტერესო თემას შეეხო. 29 წლის ალვეში, რომელსაც „ბარსასთან“ ერთად ახალი ტიტულების მოგება სურს, ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წევრია. „სელესაო“ 2013 წლის ზაფხულში კონფედერაციის თასზე, ხოლო 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს და ალვეშიც, ყველა ბრაზილიელის მსგავსად, ამ ტურნირებს მოუთმენლად ელის...



**- ცოტა ხნის წინ, პროფესიონალმა ფეხბურთელებმა წლის სიმბოლურ ნაკრებში შეგიყვანეს. რა გრძნობაა, როდესაც შენი პროფესიის ადამიანები გაფასებენ?**

- შესანიშნავი შეგრძნებაა, როდესაც შრომა გიფასდება, თან იმ ადამიანებისგან, ვინც იმავე საქმით არის დაკავებული. აქ, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რამდენად პოპულარული ხარ გულშემატკივრებს შორის, რადგან ხმის მიცემის პროცესში ის ადამიანები მონაწილეობენ, ვინც კარგად იცის ეს საქმე, იცის, თუ რას ნიშნავს ფეხბურთელობა და სხვანაირად უყურებს ყველაფერს. თავს იღბლიან ადამიანად ვთვლი, რადგან ჩემმა კოლეგებმა დამაფასეს და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა იმათ, ვინც ჩათვალა, რომ 2012 წელს საუკეთესო მარჯვენა მცველი მე ვიყავი. ჩემს ადგილზე მოხვედრა ბევრ ფეხბურთელს შეეძლო, რადგან მსოფლიოში უამრავი კარგი მარჯვენა მცველია. ზოგადად, ინდივიდუალური პრიზების მოგება იოლია, როდესაც ძლიერი კლუბის წევრი ხარ და მე ამ მხრივაც გამიმართლა.

**- თქვენთვის, 2012 წელი ტრავმების მხრივ პრობლემური გამოდგა...**

- კი, ნამდვილად ასე იყო. შარშან იმდენი ტრავმა მივიღე, რამდენიც კარიერის განმავლობაში არ მიმიღია. მიუხედავად ამისა, მაგ დროს ვცდილობ ყველაფერს სხვანაირად შევხედო. იძულებითი უქმობის პერიოდში დიდი გამოცდილება მივიღე და ისეთი რაღაცები დავაფასე, რასაც სხვა დროს ჯეროვან ყურადღებას ვერ ვუთმობდი. როდესაც პროფესიონალი ხარ და საქმეს მთელი გულით აკეთებ, მაშინ ყველაფერი უკანა პლანზე გადადის და სხვა საქმისთვის დრო თითქმის არ გრჩება. მიხარია, რომ ახალ წელს ჯანმრთელი შევხვდი და იმედი მაქვს, მთელი წელი ასე გაგრძელდება.

**- შარშან, ბრაზილიის ნაკრებში მწვრთნელი შეიცვალა. თქვენი აზრით, რას შემატებს ნაკრებს ლუიშ ფელიპე სკოლარი?**

- როდესაც რაღაც იცვლება, ადამიანი იმედოვნებს, რომ ახალი ძველზე უკეთესი იქნება. ახლა, ჩვენთვის მთავარი სტაბილური გარემოს შექმნაა. ბრაზილიის ნაკრებმა მრისხანე გუნდის სტატუსი უნდა დაიბრუნოს და ამას, პირველ რიგში, წარსულის გენიალური მოთამაშეები გვავალდებულებენ. სკოლარი არის უკანასკნელი მწვრთნელი, რომელმაც „სელესაოს“ მუნდიალი მოაგებინა და ეს ფაქტი უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ტურნირის მოგება იოლი არ არის, მან კი მსოფლიოს ჩემპიონატზე იმარჯვა. წინ ორი უმნიშვნელოვანესი ტურნირი გველის და ორივე ჩვენთან სახლში უნდა გაიმართოს. ჩვენ გვსურს, რომ ბრაზილიელ ხალხს ნაკრების იმედი ჰქონდეს და გვინდა, მათ ეს შეგრძნება დავუბრუნოთ.

**- ბევრი ადამიანის აზრით, ბრაზილია კონფედერაციის თასის და მუნდიალის ფავორიტია, რადგან ორივე ამ ტურნირს მასპინძლობს. სხვები ამტკიცებენ, რომ მასპინძელზე ზეწოლა ორმაგად დიდია და ეს შესაძლოა გადაულახავი ბარიერი იყოს. თქვენი გუნდი ამისთვის მზად არის?**

- თუ ვინმე მზად არ არის, მას საკუთარი თავის წესრიგში მოსაყვანად მხოლოდ 5 თვე დარჩა. სიმართლეა ის, რომ გუნდში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს, მაგრამ ისინი საკმაოდ გამოცდილები არიან და საკუთარ კლუბებში არაერთი ტიტულიც აქვთ მოგებული. პირადად ჩემთვის, საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა იმდენად დიდი მოვლენაა, რომ ეს ფაქტი ყველა ნეგატიურ ფაქტორს ფარავს. მასპინძლობა ჩვენ პრობლემას არ შეგვიქმნის, რადგან ტურნირის დაწყებას ყველანი მოუთმენლად ველით.

**- ცოტა ხნის წინ რონალდომ განაცხადა, რომ ბრაზილია მსოფლიოს ხუთ საუკეთესო ნაკრებში არ შედის. ეთანხმებით მას?**

- ამჟამად მეც დაახლოებით იმავე აზრზე ვარ. ბოლო წლებში ოფიციალური მატჩები არ გვითამაშია, გარდა ამისა, გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და ისინი განვითარების ახალ ეტაპზე ახლა გადადიან. კონფედერაციის თასი გუნდის შესათამაშებლად და გამოცდილების მისაღებად უნდა გამოვიყენოთ. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე წელიწად-ნახევარია დარჩენილი, რაც არც ისე ცოტაა, მაგრამ მოშვებაც არ შეიძლება, რადგან 2014 წლის ზაფხულიც მალე მოვა და ჩვენ არავინ დაგველოდება – ვიქნებით მზად თუ არა, ჩემპიონატი მაინც გაიმართება. ყველა ჩვენგანს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია და ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ ბრაზილიელ ხალხს იმედი გავუმართლოთ. „სელესაოს“ ყველა ფეხბურთელმა კარგად იცის, რას ნიშნავს ბრაზილიის ნაკრებში თამაში და ვფიქრობ, საქმისადმი ასეთი მიდგომით, ჩვენ საკმაოდ ძლიერ გუნდს ავაშენებთ.

**- ოქროს ბურთის დაჯილდოების ცერემონიის დაწყების წინ ნეიმარს ესაუბრებოდით. „ბარსელონაში“ გადასვლას ხომ არ სთავაზობდით?**

- მე ამას უკვე წლებია ვცდილობ (იცინის). როდესაც პირველად ითქვა, რომ ნეიმარი სათამაშოდ ევროპაში გადმოვიდოდა, უმალვე დავუკავშირდი და „ბარსელონაში“ გადმოსვლა შევთავაზე, რადგან „ბარსა“ კლუბზე მეტია. აქ შენ მოგხედავენ, მოგივლიან, მიხედავენ შენს ოჯახს. ამ კლუბს ისეთი ღირებულებები გააჩნია, რომელიც არც ერთ სხვა კლუბს არ აქვს. ყველა ამბობს, რომ „ბარსელონას“ დამარცხება შეუძლებელია და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კლუბის სტრუქტურა და ფილოსოფიაა. ჩვენთან ახალგაზრდულ აკადემიას უდიდესი ყურადღება ექცევა და კლუბი მხოლოდ იმ ფეხბურთელს ყიდულობს, რომელიც მართლაც ესაჭიროება. მოთამაშეთა უმეტესობას გუნდის აღზრდილები შეადგენენ. ოქროს ბურთისთვის ჩვენი ორი თანაგუნდელი იბრძოდა, რაც ფეხბურთელთა უმაღლეს დონეზე მეტყველებს და ამ ყველაფერს „ბარსამ“ ფეხბურთელებში ასტრონომიული თანხების დახარჯვის გარეშე მიაღწია.

**- როდესაც „ბარსელონაში“ გადახვედით, ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?**

- გამიკვირდა ის, რომ პოტენციური ახალწვეულების შერჩევისას, ფეხბურთელის რეპუტაციას და პოპულარობას ყურადღებას არ აქცევდნენ. როდესაც „ბარსაში“ ახალი მოთამაშე მიდის, მწვრთნელები გუნდში მის როლსა და იმ სამუშაოზე ფიქრობენ, რომელიც მან მოედანზე უნდა შეასრულოს. ასეთ პირობებში, გუნდი აუცილებლად გაიზრდება, ოღონდ ეს ყველაფერი ერთ და ორ დღეში არ ხდება, ამისთვის წლებია საჭირო. ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რადგან ვთამაშობთ კლუბში, რომელიც მის წევრებს არა მარტო საფეხბურთო, არამედ ცხოვრებისეულ ღირებულებებს ასწავლის. ორი აზრი არ არის: „ბარსელონა“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბი და საუკეთესო გუნდია.

ბრაზილიის ჩემპიონატი

# რივალდოს მორიგი გოლი

## ნეიმარის მორიგი გაძევება

### პაულისტა. VIII ტური.

**სან პაულო-იტუანო 3:2**

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (19), 1:1 კლეიტონ დომინგეში (31), 2:1 ჟადსონი (50), 2:2 ადაილტონი (73), 3:2 განსო (89).

**სან კაეტანო-ბრაგანტინო 1:2**

**გოლები:** 0:1 ლინკომი (10), 1:1 რივალდო (33), 1:2 ლინკომი (89).

**კორინთიანსი-პალმეირასი 2:2**

**გოლები:** 1:0 ემერსონ შეიკი (18), 1:1 ვილსონი (30), 1:2 ვინისიუსი (53), 2:2 რომარინიო (73).

**პონტე პრეტა-სანტოსი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბრუნო სილვა (12), 2:0 ალემაო (82), 2:1 ანდრე (87), 3:1 ალემაო (90).

**გაძევება:** არტური (45. პონტე პრეტა), ნეიმარი (45. სანტოსი)

| | |
|---|---|
| მირასოლი-ბოტაფოგო სპ | 4:3 |
| სან ბერნარდო-პაულისტა | 0:0 |
| ოესტე-პენაპოლენსე | 2:0 |
| ატლ. სოროკაბა-ლინენსე | 2:3 |
| XV დე პირასიკაბა-გუარანი | 2:3 |
| უნიაო ბარბარენსე-მოჟი მირიმი | 1:2 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. პონტე პრეტა – 18 ქულა, 2. ლინენსე – 16, 3. მოჟი მირიმი – 14, 4. სანტოსი – 14, 5. სან პაულო (6 თამაშიდან) – 13, 6. პენაპოლენსე – 13, 7. პალმეირასი – 13, 8. კორინთიანსი – 13, 9. ბოტაფოგო სპ – 12, 10. ბრაგანტინო – 12, 11. პაულისტა – 10, 12. XV დე პირასიკაბა – 9, 13. უტიანო – 9, 14. ოესტე – 8, 15. მირასოლი – 7, 16. გუარანი – 7, 17. ატლ. სოროკაბა – 6, 18. უნიაო ბარბარენსე (7 თამაშიდან) – 5, 19. სან კაეტანო (7 თამაშიდან) – 5, 20. სან ბერნარდო – 5



**ბომბარდირები:** 6 – ნეიმარი (სანტოსი), ლინკომი (ბრაგანტინო); 5 – მარკოს დიოგო (XV დე პირასიკაბა), მირალიესი (სანტოსი), რონი (მოჟი მირიმი).

**პაულისტას** მე-8 ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი „პონტე პრეტასა“ და „სანტოსს“ შორის გაიმართა. ლიდერების შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი არა რომელიმე გოლი, არამედ გაძევება იყო. შეხვედრის 45-ე წუთზე ნერვებმა **ნეიმარს** უმტყუნეს, რასაც ამ უკანასკნელის მოედნიდან მიბრძანება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ 21 წლის ფეხბურთელმა, მიუხედავად ხანმოკლე კარიერისა, უკვე მე-5 წითელი ბარათი მიიღო. აი, რა განაცხადა თამაშის შემდეგ ნეიმარმა:

*„წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდა. ბურთისთვის ვიბრძოდით, რასაც მცირე შეკამათება და წაკინკლავება მოჰყვა, შემდეგ კი ჩვენ წითელი ბარათები გვიჩვენეს. ჩემი აზრით, იმ სიტუაციაში წითელი ბარათი აშკარად ზედმეტი იყო. სამწუხაროა, რომ ასეთი სიმკაცრის გამო, ფეხბურთი ქომაგებისთვის, ფეხბურთელებისა და მაყურებლებისთვის უფრო და უფრო მოსაწყენი ხდება“.*

მორიგი მატჩი წააგო „სან კაეტანომ“ და ეს გუნდი მე-19 პოზიციას იკავებს, სამაგიეროდ კვლავ გაიტანა **რივალდომ** – 40 წლის ვეტერანმა მეორე მატჩი ჩაატარა და მეორე გოლი შეაგდო.

„კორინთიანსის“ და „პალმეირასის“ 279-ე დერბი ფრედ დასრულდა. სტუმართა მხრიდან ორი საგოლე პასი, „ვერდერის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, **ვესლიმ** შეასრულა, ხოლო „ტიმაო“ წაგებას ცვლილებაზე გამოსულმა **ალეშანდრე პატომ** და **რომარინიომ** იხსნეს – 73-ე წუთზე, ამ უკანასკნელს საგოლე პასი სწორედ პატომ გაუკეთა.

### კარიოკა. ტაკა გუანაბარა. VIII ტური

**ვასკო-აუდაქს რიო 2:0**

**გოლები:** 1:0 ედერ ლუიში (48), 2:0 კარლოს ალბერტო (64).

**ვოლტა რედონდა-ფლუმინენსე 1:3**

**გოლები:** 0:1 სამუელ როსა (6), 0:2 სამუელ როსა (42), 1:2 ლეო ანდრადე (61), 1:3 მარკოს ჟუნიორი (90).

**ფლამენგო-ბოტაფოგო 1:0**

**გოლი:** 1:0 ერნანი (3).

| | |
|---|---|
| მადურეირა-ბანგუ | 2:3 |
| რესენდე-ფრიბურგენსე | 1:1 |
| ბოავიშტა-ოლარია | 1:0 |
| მაკაე-ნოვა იგუასუ | 1:0 |
| კისამა-დუკე დე კაშიასი | 1:1 |

**სატურნირო მდგომარეობა**

**A ჯგუფი:** 1. ბოტაფოგო – 14 ქულა, 2. ვასკო – 13, 3. მადურეირა – 11, 4. ფრიბურგენსე – 8, 5. ვოლტა რედონდა – 6, 6. კისამა – 5, 7. ნოვა იგუასუ – 4, 8. ოლარია – 3.

**B ჯგუფი:** 1. ფლამენგო – 19 ქულა, 2. ფლუმინენსე – 15, 3. ბოავიშტა – 13, 4. ბანგუ – 11, 5. აუდაქს რიო – 11, 6. მაკაე – 7, 7. რესენდე – 7, 8. დუკე დე კაშიასი – 5.

**ბომბარდირები:** 8 – ერნანი (ფლამენგო); 4 – ჩარლზ ჩადი (დუკე დე კაშიასი), დერლეი (მადურეირა), ფრონტინი (ვოლტა რედონდა), ზეედორფი (ბოტაფოგო), მარსელი (რესენდე), ბერნარდო (ვასკო და გამა).

ტაკა გუანაბარას ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. **ედერ ლუიშის** და ბრემენის „ვერდერის“ კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელის, **კარლოს ალბერტოს** გოლებით, უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო „ვასკო და გამამ“, რომელიც ახლა ჯგუფში მეორე ადგილს იკავებს.

გაიმარჯვა „ფლუმინენსემაც“, ვისაც რამდენიმე ლიდერი აკლდა, მაგრამ „ვოლტა რედონდას“ დამარცხება მაინც არ გასჭირვებია.

მორიგი მატჩი მოიგო „ფლამენგომ“ და ჯგუფში პირველობა გაინაღდა. „ბოტაფოგოსთან“ გამართული 296-ე დერბის ერთადერთი გოლი **ერნანმა** გაიტანა, ვინც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია. აღსანიშნავია, რომ „ბოტას“ „ფლა“ უკვე 10 თამაშია (ყველა ტურნირზე) არ დაუმარცხებია, ხოლო ამ გუნდების ბოლო 23 შეხვედრიდან 13 ფრედ დასრულდა, 8 „მენგომ“ მოიგო, „ბოტაფოგომ“ კი მხოლოდ 2-ში იმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის შეჯამება

# ნიჭი უნდა, ნიჭი!

## ვისთვის საშინელება, ვისთვის ფანტასტიკა...

„ბაიერნის“ თავდამსხმელმა მარიო მანჯუკიჩმა საოცნებო გოლი საზარლად იზეიმა, „დორტმუნდელ“ იულიან შიბერს ათასიდან ერთი შანსი მიეცა და არ გამოიყენა, შტეფან კისლინგი კი გოლების გატანას და საგოლე პასების ჩამორიგებას აგრძელებს, მაგრამ იოახიმ ლიოვს ის ისევ ნაკლებად აინტერესებს...


ბაიერნელი მარიო მანჯუკიჩის მაკრატელა

### კეთილი იყოს შენი დაბრუნება, რაფაელ!

ბოლო დროს **რაფაელ ვან დერ ვაარტი** უხეიროდ თამაშობდა და ჩვენ არ ვიცით, რისი ბრალი იყო ეს სინამდვილეში - სილვისთან დაშორების, თუ ამინდის. თუმცა ამინდი ჰამბურგში არასდროს ვარგა და უნიათობა ალბათ მაინც უფრო აწ უკვე ჰოლანდიელის ყოფილ ცოლს უნდა დავაბრალოთ. ფაქტი კი ისაა, რომ ამ შაბათს ვან დერ ვაარტს სიცოცხლე დაუბრუნდა და თავადაც დაბრუნდა. რაფაელმა „გლადბახს“ 26 მეტრიდან ულამაზესი გოლი გაუტანა და გახსოვთ მისი სიტყვები დორტმუნდში მოგებული თამაშის შემდეგ? მაშინ თქვა, აი, ნახავთ, „გლადბახს“ აუცილებლად გავუტანო. დანაპირების შესრულებაც ასეთი უნდა! კითხვაზე, თუ რა არის საჭირო ასეთი გოლის გასატანად, ვან დერ ვაარტმა მორცხვად თქვა, ცოტაოდენი ტალანტიო.

### ვერდერს თავდამსხმელი ჰყოლია

კარგი ამბავი „ვერდერის“ ქომაგებს (ჩვენთან ასეთები დიახაც, არსებობენ): ბრემენულ კლუბს კვლავ ჰყავს მაღალი კლასის, სანდო გოლეადორი. ცუდი ამბავი: მიუხედავად ამისა, „ვერდერი“ მაინც ვერ ხეირობს. **ნილს პეტერსენმა** „ფრაიბურგსაც“ ორი გოლი გაუტანა და მის ანგარიშზე ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში უკვე 11 გოლია, მაგრამ მისმა უკანახაზელმა კოლეგებმა ისევ სამჯერ მიჰქარეს და „ვერდერი“ „ფრაისთან“ 2:3 დამარცხდა. დასკვნა: „მუსიკოსებს“ ამ სეზონში ევროპალიგის საგზურის მოპოვება არ უწერიათ.

### ფრაიბურგის მარგალიტი

შეიძლება ასეც ითქვას: **მაქს კრუსე** დღესდღეობით „ფრაიბურგის“ სახეა. ეს გახლავთ 24 წლის ბიჭი, რომელიც ბრაისგაუულ კლუბს საკმაოდ იაფი, 750 000 ევრო დაუჯდა და რომლის გამოყენება მრავალმხრივად, არაერთ პოზიციაზე შეიძლება. ამასთან, კრუსე მიმდინარე სეზონში მართლაც სტაბილურად კარგად თამაშობს (22 მატჩი, 6 გოლი, 6 პასი). „ვერდერთან“ შეხვედრაში ის მოედანზე ყველაზე აქტიური ფეხბურთელი გახლდათ. მოკლედ, იმ აზრამდე მივდივართ, რომ „ფრაიბურგსა“ და „ვერდერს“ შორის მთავარი განსხვავება სწორედ კრუსეა. საქმე ისაა, რომ მაქსი ბრემენში გაიზარდა, მაგრამ „ვერდერში“ ვერ დააფასეს და 2009 წელს „ზანკტ პაულიში“ უფასოდ გადავიდა, მერე კი „ფრაიმ“ იყიდა, სადაც მაქსმა არა მარტო ამ ტურში („ვერდერთან“ ანგარიში სწორედ მან გახსნა), არამედ ადრეც არაერთხელ დაამტკიცა, რომ კარგი ფეხბურთელია.

### გერმანია კისლინგს ითხოვს

„ლევერკუზენის“ ფორვარდ **შტეფან კისლინგს** 22-ე ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში 15 გოლი და 9 საგოლე გადაცემა აქვს, რითაც გოლს პლუს პასის რეიტინგში მთელი ბუნდესლიგის მასშტაბით საუკეთესოა და თუ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ამაზე თვალს ახლო მომავალში კიდევ დახუჭავს, ჟურნალისტები ბრანდენბურგის კარიბჭესთან აუცილებლად საპროტესტო აქციას გამართავენ, რომელსაც, დარწმუნებულები ვართ, **მარტინ მაქსიც** დაესწრება.

### მარიოს მაკრატელა

**მარიო მანჯუკიჩმა** „ვოლფსბურგს“ იშვიათი სილამაზის მაკრატელა გაუტანა, მერე კი იმწამსვე წამოხტა და ჯერ ზეიმი უნდოდა, მერე გაახსენდა, რომ ყოფილი გუნდი დაამწუხრა და არათუ თავად არ გამოხატა სიხარული, ზეიმი თანაგუნდელებსაც აუკრძალა. რალაცნაირად ბანალური სცენა გამოვიდა - მით უმეტეს, რომ შეცვლის დროს „ფოლკსვაგენ-არენას“ პუბლიკამ ხორვატს მაინც უსტვინა. მისი გოლის ნახვა კი მართლაც ღირს!

### შალკეს მწვრთნელი

**იენს კელერის** სახელი და გვარი ბუნდესლიგით დაინტერესებული ფანების დიდ ნაწილსაც კი ისევ არაფერს ეუბნება - ეს კაცი თითქოს არ არსებობს. არადა, „შალკეს“ მთავარი მწვრთნელი ჰქვია, რომელმაც ამ სეზონის ბოლომდე უნდა იმუშაოს. ან, უნდა ემუშავა! ჯერჯერობით კელერი ისევ პოსტზე რჩება, რადგან, როგორც ჩანს, გელზენკირხენული კლუბის ბოსებმა მათთვის სასურველი კანდიდატი ან ვერ იპოვეს, ანაც ზაფხულიდან შეიპირეს, მაგრამ მას მერე, რაც „ხუმარებს“ მაინცში მიღწეული ფრეც (2:2) კი გაუხარდათ, ერთი რამ ფაქტია: მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** ბოლო განცხადებები ისე ჟღერს, რომ კელერს „შალკეში“ დიდი დღე აღარ უწერია.

კითხვაზე, ისევ მიიჩნევს თუ არა კელერს „შალკესთვის“ ღირსეულ დამრიგებლად, ჰელდტმა კვირას ასე უპასუხა: *„მწვრთნელის საკითხს მაშინ მივხედავ, როცა ამას საქმე მოითხოვს!“*

...და ეს უკვე ნამდვილად აღარ ჰგავს სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ ნათქვამს, იენს კელერი ჩვენთან აუცილებლად სეზონის ბოლომდე იმუშავებსო...

### ბასტოსს უმადლოდეს

მანამდე კი კელერი პოსტის შენარჩუნებას ბრაზილიელ **მიშელ ბასტოსს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც ზოგადად ბოლო სამ მატჩში სამი გოლი გაიტანა და დაამტკიცა, რომ „შალკეს“ ღირსეული ახალწვეულია. თუმცა ახლა გელზენკირხენელებს სულ სხვა კინო ელით - „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ რაუნდში „გალათასარაის“ ჯოჯოხეთში უნდა ესტუმროს, სადაც კელერს, ბასტოსს და კომპანიას, სხვა ალქაჯებთან ერთად, **ვესლი სნეიდერი** და **დიდიე დროგბაც** ელიან.

### რობენის რისხვა

**არიენ რობენისთვის** „ვოლფსბურგთან“ მატჩი ისევ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და **იუპ ჰაინკესმა** ჰოლანდიელი მოედანზე მხოლოდ 79-ე წუთზე შეუშვა, თუმცა არიენმა ეფექტური გოლი გაიტანა და მერე ბოლმა გადმოანთხია. „ვოლფების“ მეკარე **დიეგო ბენალიოს** ეს დარტყმა თავის სხეულზე რომ მიეღო, საკუთარ კარში ალბათ ბურთიანად შევარდებოდა. ეს დარტყმა „სლეიერის“ დრამერის ბოლო საკონცერტო აკორდს ჰგავდა. კარგი იყო... უფრო სწორად, ხმაურიანი!

### სასოწარკვეთილი შტუტგარტი

„შტუტგარტში“ უცებ გაახსენდათ, რომ **ბრუნო ლაბადია** ის მწვრთნელია, რომლის გუნდები მეორე წრეში ყოველთვის ჩაისვრიან ხოლმე. მერე შვაბენლანდური კლუბის მიერ 2013 წელს გამართულ მატჩებსაც გადახედეს და თმები ყალყზე დაუდგათ - 4 თამაში და 4 წაგება ავისმომასწავებლად ჟღერდა. თუმცა „შტუტგარტმა“ „ჰოფენჰაიმი“ 1:0 დაამარცხა და ლაბადიამაც ხელისგულით ოფლი მოიწმინდა, მაგრამ ერთიცაა: ამ „ჰოფენჰაიმს“ ხომ ყველა უგებს...

### შიბერის საშინელება

ნამდვილად არ გვინდა, რომ გადავაჭარბოთ, მაგრამ ფრანკფურტის „აინტრახტთან“ მატჩი „დორტმუნდის“ ფორვარდ **იულიან შიბერისთვის** ის უნიკალური შანსი იყო, რაც მას ამ სეზონში პირველად და, სავარაუდოდ, უკანასკნელად მიეცა. რაკი **რობერტ ლევანდოვსკი** დისკვალიფიცირებული გახლდათ, „ბორუსიას“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა** სასტარტო შემადგენლობაში ცენტრფორვარდად სწორედ შიბერი გაამწესა. ბურთთან სამი კონტაქტისა და ორი ჯარიმის შემდეგ კი იულიანის სამუშაო დღე დამთავრდა - 31 წუთში ის მოედნიდან გააძევეს. მატჩის შემდეგ შიბერმა თქვა, თავი საშინელებათა ჟანრის ფილმში მგონიაო.

### როისის ფანტასტიკა

...არადა, **მარკო როისიც** ამავე ფილმში მონაწილეობდა და არა გვგონია, საშინელებათა ჟანრისა უწოდოს - როისისთვის „აინტრახტთან“ შეხვედრა ფანტასტიკა უფრო იყო. დორტმუნდელებმა ფრანკფურტელებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და სამივე მარკოს ანგარიშზეა!

*„ეს გამარჯვება ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მერე რა, რომ „ბაიერნი“ 15 ქულით გვისწრებს და ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი ტურიდან ტურამდე ქრება - ჩვენ ბოლომდე ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც „დორტმუნდს“ ეკადრება,“* - თქვა მატჩის შემდეგ „ბორუსიას“, რუის და (გავრისკავთ და ვიტყვით) სრულიად გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელმა.

### საუკეთესო ფეხბურთელები

XXII ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 22 | 2.23 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 17 | 2.29 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 20 | 2.47 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 21 | 2.48 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 18 | 2.64 |
| 6. თომას მიულერი | ბაიერნი | 20 | 2.68 |
| 7. ილქაი გიუნდოგანი | დორტმუნდი | 18 | 2.75 |
| 8. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 22 | 2.75 |
| 9. ტონი კროოსი | ბაიერნი | 22 | 2.76 |
| 10. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 19 | 2.76 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 22 | 15 | 8 | 23 |
| 2. თომას მიულერი | ბაიერნი | 20 | 11 | 11 | 22 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 20 | 14 | 6 | 20 |
| 4. მარკო როისი | დორტმუნდი | 22 | 11 | 8 | 19 |
| 5. შაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 20 | 8 | 10 | 18 |
| 6. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 19 | 15 | 2 | 17 |
| 7. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 22 | 11 | 5 | 16 |
| 8. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 20 | 7 | 8 | 15 |
| 9. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 22 | 7 | 7 | 14 |
| 10. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 18 | 9 | 5 | 14 |

### XXII ტურის გმირი

## მარკო როისი (2) (ბორუსია, დ)



მარკოს ანგარიშზე მიმდინარე სეზონში უკვე 15 გოლია. 11 ბუნდესლიგაში გაიტანა, 3 ჩემპიონთა ლიგაში, ერთიც გერმანიის თასზე. გარდა ამისა, „დორტმუნდის“ 23 წლის ვარსკვლავმა ამ სეზონში 9 საგოლე პასიც მიითვალა და გამოდის, რომ საერთო ჯამში მარტო მან 25 გოლი შექმნა მას მერე, რაც გასულ ზაფხულს „გლადბახიდან“ „დორტმუნდში“ გადაბარგდა. შესაბამისად, უკვე თამამად უნდა ვთქვათ, რომ დორტმუნდელებს ამ ფეხბურთელში ჩადებული ინვესტიცია (17.5 მილიონი ევრო) მაქსიმალურად უფასდებათ. შაბათს როისმა თავმომწონე „აინტრახტი“ დაბომბა (ჰეთ-თრიკი) და ამ სეზონში უკვე მეორედ ვასახელებთ ტურის გმირად.

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




მოსალოდნელი ტრანსფერი

# კლოპმა კისლინგი მოითხოვა

## იურგენი შტეფანში ლევანდოვსკის შემცვლელს ხედავს

დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ამ უქმეებზე საინტერესო განცხადება გააკეთა - თუ **რობერტ ლევანდოვსკი** მართლაც „ბაიერნში“ გადავა, ჩვენ ამ ტრანსფერს მომზადებულები შევხვდებითო. პოლონელის მიუნხენში გადაბარგებაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება და რაც შეეხება კლოპის წინადადების მეორე ნაწილს: ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, იურგენი „ლევერკუზენის“ გოლეადორ **შტეფან კისლინგს** უმიზნებს. 29 წლის თავდამსხმელის ანგარიშზე ამ სეზონში 15 გოლი და 8 საგოლე პასია, რაც იმას ნიშნავს, რომ კისლინგი სწორედ ის კაცია, ვინც ლევანდოვსკის ღირსეულად შეცვლის.


ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში შტეფან კისლინგის ანგარიშზე 15 გოლი და 8 საგოლე პასია

*„სანდო წყაროზე დაყრდნობით შემიძლია გამცნოთ, რომ დორტმუნდელები კისლინგის ტრანსფერზე მუშაობენ და შტეფანის გადაბირება ძალიან უნდათ,“* - ეს გუშინ ექსფეხბურთელმა **თომას ჰელმერმა** გადაცემა „დოპელპასში“ თქვა. მოგვიანებით, ლევერკუზენელთა სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** განაცხადა, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცითო. თუმცა თავად ფეხბურთელის აგენტმა **ალი ბულუთმა** „ბილდს“ უთხრა, დორტმუნდის დაინტერესებაზე მეც ბევრი რამ მსმენიაო. ერთი სიტყვით, ეს მართლაც სპეკულაციაზე მეტია.

კისლინგს „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და „ბილდის“ ცნობით, მისი გადაბირება არა მარტო „დორტმუნდს“, არამედ კიევის „დინამოსაც“ უნდა. უკრაინელებს „ვერდერის“ ფორვარდმა **მარკო არნაუტოვიჩმა** უარი შეუთვალა და ახლა ყურადღება სწორედ კისლინგისკენ მიმართეს.

ფიოლერი შტეფანის გაშვების კატეგორიული წინააღმდეგია და კიევში გადასვლას არც თვითონ ფეხბურთელი მოინდომებს, მაგრამ „დორტმუნდი“ სხვა თემაა - „ბორუსია“ გერმანიაში „ბაიერნთან“ ერთად საუკეთესო მისამართი გახდა და ვფიქრობთ, ამ თემას გაგრძელება ექნება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# ლონდონში ბრძოლას ვნახავთ

## არსენალი ბაიერნისთვის გამოცდა და გამოცანაა

„ბაიერნთან“ მატჩი „არსენალისთვის“ ამ სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანია და ლონდონელებს სწორედ ასეთი შეხვედრის წინ წაუხდათ ხასიათი - არსენ ვენგერის გუნდი ასოციაციის თასზე ქვედალიგელ „ბლექბერნთან“ 0:1 დამარცხდა და ამ ტურნირს გამოეთიშა. ამრიგად, ლონდონელებმა მორიგი ტიტულის მოგების შანსი დაკარგეს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ამ სეზონში იმედად მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა დარჩათ და სხვათა შორის, სულაც არ ფიქრობენ, რომ შესანიშნავ ფორმაში მყოფ გერმანულ გიგანტთან უშანსოდ არიან.

**არსენალი-ბაიერნი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, ვერმაელენი - უილშირი, არტეტა - უოლკოტი, კასორლა, პოდოლსკი - ჟირუ.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**არბიტრი:** სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

**ურთიერთშეხვედრები**

**09.03.2005**

**არსენალი-ბაიერნი 1:0**

**გოლი:** 1:0 ანრი (66)

**22.02.2005**

**ბაიერნი-არსენალი 3:1**

**გოლები:** 1:0 პისარო (4), 2:0 პისარო (58), 3:0 სალიჰამიჯიჩი (65), 3:1 კოლო ტურე (88)

**14.03.2001**

**ბაიერნი-არსენალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ელბერი (10)

**05.12.2000**

**არსენალი-ბაიერნი 2:2**

**გოლები:** 1:0 ანრი (4), 2:0 კანუ (55), 2:1 ტარნატი (56), 2:2 შოლი (66)

2005 წელს „არსენალმა“ ასოციაციის თასი მოიგო და მას მერე „მეთოფეებს“ ტიტული აღარ ღირსებიათ. ახლა კი **ვენგერის** გუნდი ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძველი სათასო ტურნირიდან სულაც ქვედალიგელმა გააგდო, რაც „არსენალის“ ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ამიტომაც იყო, „ემირეითსის“ პუბლიკამ საყვარელ გუნდს ობსტრუქცია მოუწყო, რომ ვენგერმა კი აღიარა, რომ მისი გუნდი დღესდღეობით ყველა მატჩისთვის სათანადოდ განწყობას ვერ ახერხებს.

### ვენგერი 0:0-ზეც თანახმაა, მაგრამ...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგ სპეციალისტს ყველაზე რთული დროება უდგას მას მერე, რაც „არსენალში“ მუშაობა დაიწყო (1996). „მეთოფეები“ ორივე თასიდან გავარდნენ, პრემიერლიგაში ჩემპიონთა ლიგის ზონას 4 ქულით ჩამორჩებიან და ნელ-ნელა ეგუებიან იმას, რომ ეს ზედიზედ მერვე უტიტულო სეზონი იქნება. შესაბამისად, უფრო და უფრო ხშირად გაისმის საუბრები ვენგერის წასვლის შესახებ და ჩემპიონთა ლიგა და დღევანდელი თამაში ლამის ერთადერთია, რასაც ვენგერისთვის პოსტის შენარჩუნება შეუძლია.

*„ბაიერნთან“ დუელები ჩვენთვის შესანიშნავი შანსია საიმისოდ, რათა ყველას დავუმტკიცოთ, რომ „არსენალი“ ცოცხალია და ჯერ კიდევ მტკიცე ხასიათი აქვს,“* - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე 63 წლის სპეციალისტმა, რომელიც სულაც არ ფიქრობს, რომ მისი გუნდი ბავარიულ გრანდთან აუტსაიდერია: *„ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია „ბაიერნის“ დამარცხება. 2006 წელი მახსენდება და კერძოდ ის, რომ, როცა მადრიდში მივდიოდით, „რეალში“ ზიდანი, ბექჰემი, რაული და გუტი თამაშობდნენ, მაგრამ ჩვენ მოვიგეთ!“*




გერმანელები გერმანელის წინააღმდეგ: ლონდონელები ლუკას პოდოლსკი და პერ მერტეზაკერი დღეს მანუელ ნოიერის „ბაიერნის“ მტრები იქნებიან

„არსენალი“ პირველ მატჩს საკუთარ მოედანზე ატარებს და ფაქტია, რომ ლონდონელებმა ამ თამაშის მოსაგებად ყველაფერი უნდა გააკეთონ, რადგან გასვლით მატჩებში არასახარბიელო ისტორია აქვთ - „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფებში სტუმრად ბოლო რვა შეხვედრიდან შვიდი წააგო! ვენგერმა გუშინ ამიტომაც თქვა, „ბაიერნთან“ საშინაო მატჩში ნომერ პირველი ამოცანა კარის მშრალად შენახვა უნდა იყოსო. *„ცუდი შედეგი არც 0:0 იქნებოდა, მაგრამ, ცხადია, გოლების გატანაც გვინდა,“* - დასძინა ფრანგმა.

### უილშირის იმედად

ლონდონელთა ერთ-ერთი უმთავრესი იმედი დღეს 21 წლის **ჯეკ უილშირია**, რომელიც თითქმის ერთწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და ფორმაც აღიდგინა. უილშირმა „ბლექბერნთან“ მოედანზე 18 წუთი დაყო, ბრაზილიასთან ამხანაგურ მატჩში კი (2:1) ინგლისის ნაკრებში ძალიან კარგად იასპარეზა.

*„უილშირს შეუძლია, რომ მსოფლიოში საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი გახდეს,“* - შეგირდს აქებს ვენგერიც, თავად ფეხბურთელს კი მიაჩნია, რომ „ბაიერნთან“ დუელებში „არსენალმა“ ლონდონის ჩელსის უნდა მიჰბაძოს: *„ეს ის შემთხვევაა, როცა ჩვენთვის „ჩელსი“ მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. მართალია, წინა სეზონში „ჩელსის“ ძალიან უჭირდა და ხშირ შემთხვევებში გაუმართლა კიდეც, მაგრამ ამ გუნდმა ხასიათი გამოავლინა და მედგრად იბრძოლა. ჩვენც ასე უნდა ვითამაშოთ!“* - აცხადებს უილშირი.

### მერტე და პოლდი ყურადღების ცენტრში

დღეს ყურადღების ცენტრში მოექცევიან ლონდონელთა გერმანელი ფეხბურთელებიც - **პერ მერტეზაკერი** და **ლუკას პოდოლსკი**, რომლებიც ვენგერმა „ბლექბერნთან“ სწორედ იმიტომ დაასვენა, რომ „ბაიერნთან“ დაპირისპირებას სრულ მზადყოფნაში შეხვედროდენ. მერტე და პოლდი დღეს აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. ლონდონელებს ამ სეზონში **გიბსის** ტრავმის გამო განსაკუთრებით მარცხენა ფლანგზე უჭირთ და მართალია, „მალაგადან“ **ნანჩო მონრეალი** გადაიბირეს, მაგრამ ამ უკანასკნელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს.

რაკი **ანდრე სანტოსი** ბრაზილიაში გაუშვა, „ბაიერნთან“ დაცვის მარცხენა ფლანგზე სავარაუდოდ **თომას ვერმაელენს** ათამაშებს. გუშინ საღამომდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო ცენტრალური მცველის, **ლორან კოშელნის** ასპარეზობაც და თუ „არსენალს“ ეს უკანასკნელიც დააკლდა, მაშინ ვენგერს დაცვაში საკადრო პრობლემა ექნება. ასეთ შემთხვევაში, არსენი დაცვის ცენტრში, მერტეზაკერთან ერთად ალბათ ვერმაელენს გაამწესებს.

### ჰაინკესი: სიფრთხილე გვმართებს!

ხუთი გამარჯვება, ბურთების შეფარდება 13:0 - „ბაიერნმა“ სეზონის ნახევარი იდეალურად დაიწყო და გერმანიაში ქვას ქვაზე არ ტოვებს, ახლა კი, ბავარიულ გიგანტს „არსენალი“ გამოსცდის. მიუნხენელები ლონდონში თავდაჯერებულები გაემგზავრნენ, თუმცა რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა შეგირდებს მოუწოდა, ნუ დაგაბრმავებთ ის, რომ ლონდონური კლუბი „ბლექბერნთან“ დამარცხდაო.

*„ამ გუნდით აღფრთოვანებული ვარ. დიდი ხანია „ბაიერნით“ ასე კმაყოფილი არ ვყოფილვარ, მაგრამ აქამდე ჩვენს შესაძლებლობებს მხოლოდ ბუნდესლიგაში ვამტკიცებდით, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა გავიბრწყინოთ,“* - განაცხადა ლონდონში გამგზავრებამდე „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ.**

„ლონდონისკენ ლონდონის გავლით!“ - ასე ჟღერს მიუნხენელთა საჩემპიონთალიგო დევიზი ამ სეზონში, რადგან ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის ფინალი 25 მაისს სწორედ ინგლისის დედაქალაქში, „უემბლიზე“ უნდა გაიმართოს.

*„ამ თასის მოგება ძალიან მინდა და თან, რაც შეიძლება, სწრაფად! სწორედ ამიტომ, ჩემი მიზანი წელს ისაა, რომ ეს არ იყოს ჩვენი ბოლო ვიზიტი ლონდონში,“* - აცხადებს **თომას მიულერი** „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. 23 წლის მიულერი ჩემპიონთა ლიგის თასთან შარშანაც ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მიუნხენში გამართულ ფინალში მის მიერ 83-ე წუთზე გატანილი გოლი რეკორდმაისტერს არ ეყო და გახსომებათ, ფინალი „ჩელსიმ“ მოიგო.

*„არსენალი“ ძალიან კარგად უტევს და მინდა, ჩემი შეგირდები კიდევ ერთხელ გავაფრთხილო - ნუ დაბრმავდებიან იმით, რომ ლონდონელები „ბლექბერნთან“ დამარცხდნენ და ამ სეზონში არასახარბიელოდ გამოიყურებიან. გადახედეთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ლონდონელთა წინა ხაზზე მოქმედებენ და მიხვდებით, რომ „არსენალთან“ ურთულესი მატჩები გველის: პოდოლსკი, უოლკოტი, კასორლა, ჟირუ - მათ ნებისმიერის გამწარება შეუძლიათ,“* - ეს კი ჰაინკესის სიტყვებია, რომელსაც „ვოლფსბურგთან“ მოპოვებული გამარჯვების (2:0) შემდეგ, რითაც „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში 15-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა, **ხავი მარტინესი** უბრუნდება. ესპანელი საყრდენი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში **ლუის გუსტავოს** შეცვლის.

# დარჩება მალაგა დაუმარცხებელი?

## პელეგრინის დაცვაში უჭირს

**„არსენალისა“ და „ბაიერნის“ მძაფრი დუელის პარალელურად, პირენეის ნახევარკუნძულზე შედარებით ნაკლებად საინტერესო, მაგრამ არანაკლებ დაძაბული მატჩი გაიმართება: პორტუგალიის ჩემპიონი „პორტუ“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების უმთავრეს აღმოჩენას, „მალაგას“ უმასპინძლებს.**

**პორტუ-მალაგა 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, ოტამენდი, მანგალა, ალექს სანდრო - ჟოაო მოუტინიო, ფერნანდო, ლუჩო გონსალესი - იზმაილოვი, ჯეკსონ მარტინესი, ჯეიმს როდრიგესი.

**მალაგა (4-2-3-1):** ვილი - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ანტუნეში - ტულალანი, იტურა - ხოაკინი, ისკო, პორტილიო - სავიოლა (ან სანტა კრუსი).

**არბიტრი:** მარკ კლატენბურგი (ინგლისი)

**ურთიერთშეხვედრები**

**ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშიათ**

„მალაგა“ ჩემპიონთა ლიგაში დაუმარცხებელია (3 მოგება და 3 ფრე ჯგუფურ ეტაპზე) და ცხადია, ესპანელების მიზანი „ესტადიო დრაგაოზეც“ არწაგება იქნება. ფაქტია, რომ „მალაგას“ „პორტუსთან“ ამ მიზნის მიღწევა გაუჭირდება, რადგან პორტუგალიელებმა ჯგუფურ ეტაპზე სამ საშინაო მატჩში შვიდი გოლი გაიტანეს და სამივე მატჩი მოიგეს.

„მალაგას“ დაცვაში სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. დიდი შანსია, რომ **მანუელ პელეგრინიმ** დღეს ვერც **ელიზეუ** გამოიყენოს, ვერც **ხესუს გამესი** და ვერც **მარტინ დემიკელისი**. ფლანგის მცველების გამოჯანმრთელება დღეს საღამომდე დიდად საეჭვოა, დემიკელისმა კი ფეხზე დადგომა შეიძლება მოასწროს. ელიზეუს არყოფნა „მალაგასთვის“ დიდი დანაკლისი იქნება და ეს უკანასკნელი ძირითად შემადგენლობაში, დაცვის მარცხენა ფრთაზე **ანტუნეშმა** უნდა შეცვალოს.

„პორტუს“ თავკაც **ვიტორ პერეირას** კი ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაშია პორტუგალიელთა მთავარი დამრტყმელი ძალა **ჯეიმს როდრიგესი**. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელებს დასასვენებლად ერთით მეტი დღე ჰქონდათ, რადგან კალენდარული მატჩი „ბეირა მართან“ (2:0) პარასკევს ჩაატარეს.

აქვე ვთქვათ, რომ „პორტუმაც“ და „მალაგამაც“ ჯგუფური ეტაპი უპრობლემოდ დაძლიეს. ესპანელებმა პირველ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და აქტივში „მილანის“ დამარცხება (1:0) ჩაიწერეს, ხოლო „პორტუმ“ ჯგუფში ოთხი თამაში მოიგო და მაინც მეორე ადგილი დაიკავა...

გვერდები მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**






არსენალი

# ნდობა საზღვრების გარეშე

## არსენალი ვენგერს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობს!



კრიზისის მიუხედავად, „არსენალი“ ვენგერს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობს

„არსენალის“ ფანებმა ასოციაციის თასის მე-5 ეტაპზე „ბლექბერნთან“ მარცხით კიდევ ერთი შოკი მიიღეს. ბრიტანული პრესა „მეთოფეთა“ დამრიგებლის **არსენ ვენგერის** შესაძლო მემკვიდრეებზე ალაპარაკდა და ამ დროს აღმოჩნდა, რომ... კლუბი მასთან ხელშეკრულების 2016 წლამდე გაგრძელებას აპირებს.

მოქმედი ხელშეკრულება 63 წლის სპეციალისტს 1,5 წელიწადში უმთავრდება. ბოსებს მიაჩნიათ, რომ ფინანსური „ფეარ პლეის“ ამოქმედების შემდეგ ფრანგის ხელმძღვანელობით გუნდი უფრო კონკურენტუნარიანი გახდება. მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკებები მიმდინარე სეზონის ბოლომდე დასრულდება. ცხადია, თავად ვენგერს ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება. ეს ყველაფერი იმ ფონზე ხდება, როცა უბრალო გულშემატკივრები 23 თებერვალს „ასტონ ვილასთან“ შეხვედრისას ტრიბუნებზე ვენგერის წასვლის მოთხოვნით ბანერების გადმოფენას აპირებენ. მათთვის შეურაცხმყოფელია ის, რაც მათი სათაყვანებელი გუნდის თავს ხდება. გუნდმა „ბლექბერნთან“ ორი ანტირეკორდი დაამყარა: 1. „არსენალმა“ 1997 წლის შემდეგ პირველად წააგო თასზე საშინაო სათასო შეხვედრა. უკანასკნელად ამის გაკეთება „ლიდსმა“ მოახერხა; 2. 1995 წლის იანვრის შემდეგ, ესე იგი პირველად ვენგერის ხელმძღვანელობით, „არსენალი“ არაპრემიერლიგელთან დამარცხდა საკუთარ არენაზე. სტატისტიკის თანახმად, 2005 წლიდან მოყოლებული ვენგერს თეორიულად 31 ტიტულის მოგება შეეძლო, მაგრამ...

„დეილი მეილის“ ცნობით, არსენმა ასოციაციის თასიდან გამოვარდნის შემდეგ გასახდელში ფეხბურთელებთან 45-წუთიანი შეხვედრა მოაწყო. გამოცემის მტკიცებით, **ვოიცეხ შჩესნის** „ემირიტსიდან“ აბარგება მოუწევს, რადგან მისი ბავშვური შეცდომები თანდათან უფრო აუტანელი ხდება. პოლონელის შესაძლო მემკვიდრეთა შორის ასახელებენ **მიხელ ვორმს** (29 წელი, „სუონსი“), **სიმონ მინიოლესა** (24 წლის, „სანდერლენდი“) და **ასმირ ბეგოვიჩს** (25 წლის, „სტოკ სიტი“). „მეთოფეებს“ მეკარის გარდა სხვა პოზიციების გაძლიერებაც მოუწევთ. „ტელეგრაფის“ გვერდებზე ვკითხულობთ, რომ კლუბი მთავარ მწვრთნელს ზაფხულზე მინიმუმ 70 მილიონ ფუნტს გამოუყოფს იმის მიუხედავად, მოახერხებს თუ არა „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლას.

### პრესა არსენალის წინააღმდეგ

ახლა კი უკომენტაროდ გთავაზობთ ციტატებს წამყვან ინგლისურ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებიდან. ჩვენი კოლეგები არსენ ვენგერს დაუნდობლად აკრიტიკებენ.

**ჰენრი უინტერი** (ტელეგრაფი): *„არსენალი“ შვაინშტაიგერს უნდა უფრთხოდეს, რადგან ახლა ის ნახევარდაცვის ნამდვილი გმირია. მას ლონდონურ კლუბებთან თავისი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. შარშან მაისში ის ფრენკ ლამპარდმა დაატერორა, რამაც მას თავმოყვარეობა შეულახა. ახლა ის ნელ-ნელა, მაგრამ დამაჯერებლად მიუძღვის თავის გუნდს „უემბლიზე“ გასამართი ფინალისკენ. 2010 წელს ვისაც ნაკრებში მის წინააღმდეგ უთამაშია, ყველა მოწიწებით ლაპარაკობს მასზე“.*

**ენდი დანი** (მირორი): *„დაწერეთ ეს დიდი ასოებით: „არსენალი“, ეს სუსტების გუნდია. ფეხბურთელები ცალ-ცალკე და მთლიანად გუნდი უნებისყოფონი არიან. „არსენალი“ სუსტია სატრანსფერო ბაზარზე და სუსტია მოედანზე. როცა ალექს ფერგიუსონმა ვენგერი ტელეფონზე საუბრისას დაარწმუნა, რომ ვან პერსი მისთვის მიეყიდა, არსენიც ზუსტად მაშინ გადაიქცა უნებისყოფო მენეჯერად“.*

**დომინიკ ფაიფილდი** (გარდიანი): *„არსენ ვენგერი თავის დემორალიზებულ ფეხბურთელებს მოუწოდებს, ნებისყოფა გამოიჩინონ ჩემპიონთა ლიგის თამაშის წინ. შესაძლოა, „არსენალი“ ზუსტად ახლაა ყველაზე ცუდად მომზადებული ბუნდესლიგის ლიდერთან საბრძოლველად. საშინაო არენის მხარდაჭერა გუნდმა მაშინ დაკარგა, როცა გულშემატკივარმა გუნდი გასახდელში გამაყრუებელი სტვენით გააცილა. უტიტულოდ სეზონის დამთავრების ერთადერთი საეჭვო იმედი ახლა სწორედ ევროპაში თამაშზეა დამოკიდებული“.*

ფეხბურთი და დისციპლინა

# საბოლოო გადაწყვეტილება

2012 წლის 16 ოქტომბერს სერბეთისა და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებების თამაშის დასრულების შემდეგ ფეხბურთელებს შორის გრანდიოზული ფიზიკური შეხლა-შემოხლა დაიწყო. გასული წლის 13 დეკემბერს უეფას სადისციპლინო კომისიამ დამნაშავეები სათანადოდ დასაჯა. სანქციები დაეკისრათ ინგლისელ ფეხბურთელებსაც. საფეხბურთო ასოციაციამ გადაწყვეტილება უეფას სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრა. სარჩელი შეიტანა სერბულმა მხარემაც. საქმის განხილვა უკვე დასრულდა და უეფას სააპელაციო კომიტეტმა საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა. მაშ ასე:

■ ■ ■

სერბეთის ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელის **ანდრეი მილუტინოვიჩის** 2-წლიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა. ამასთან, ფიფას ეთხოვა, აღნიშნული გადაწყვეტილება მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდეს. მას დათქმულ პერიოდში საფეხბურთო გუნდებთან საქმის დაჭერა ეკრძალება.

სერბეთის ნაკრების ფეხბურთელი **ნიკოლა ნინკოვიჩი** დისკვალიფიცირებულია 3 თამაშით უეფას ეგიდით გამართული შეხვედრებიდან.

სერბეთის ნაკრები მომდევნო ორ შეხვედრას ცარიელი ტრიბუნების წინ გამართავს.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მოთხოვნა. კერძოდ: ინგლისის ნაკრების წევრ **სტივენ კოლკერს** მიეცა გაფრთხილება, რომ სამომავლოდ გაითვალისწინოს მის მიერ დაშვებული შეცდომა. განმეორების შემთხვევაში მას უმკაცრესი სანქცია ელის. ფეხბურთელი ვალდებულია, ერთი სამუშაო დღე დაუთმოს საფეხბურთო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. კონკრეტულ ინსტრუქციებს მას უეფას სადისციპლინო კომისია მოგვიანებით გაუგზავნის.



განევ-გამოწევაში ბრალდებულები უეფამ მკაცრად დასაჯა

ამბები



### ბორინის მორიგი ტრავმა

**ფაბიო ბორინის** ბედი ნამდვილად არ სწყალობს. „ლივერპულში“ გადასვლის შემდეგ 21 წლის იტალიელმა უკვე მეორე სერიოზული ტრავმა მიიღო. პირველად ის ოქტომბერში დაშავდა - შვედეთის ნაკრებთან მოსამზადებელ შეკრებაზე მან ფეხი მოიტეხა და მინდორს 3 თვით ჩამოშორდა. მას მერე ფეხბურთელმა ფორმა ბოლომდე ვერც აღიდგინა და აი, „სუონსისთან“ XXVII ტურის გადმოტანილ შეხვედრაში შეცვლაზე შესულმა ზუსტად 6 წუთში კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა მიიღო. ამჯერად მან მხარი დაიზიანა. წინასწარი ვარაუდით, მისთვის სეზონი უკვე დამთავრებულია. *„დიახ, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაბიო დიდი ხნით დაგვაკლდება. ჩვენთვის ეს სერიოზული დარტყმაა. ყველაზე მეტად კი ის მაფიქრებს, რომ მას ანალოგიური ტრავმა „ჩელსიშიც“ ჰქონდა,“* – აცხადებს **ბრენდან როჯერსი**. შეგახსენებთ, რომ ბორინის სწორედ როჯერსი წვრთნიდა „ჩელსის“ ახალგაზრდულ გუნდში.

### ლუისი ბოდიშს იხდის

„ბრენტფორდთან“ ასოციაციის თასის მე-4 ეტაპის შეხვედრაში „ჩელსის“ 25 წლის ბრაზილიელმა უნივერსალმა **დავიდ ლუისმა** 73-ე წუთზე **ჯეიკ რივზს** ორთაბრძოლისას მხარი თავში მისცხო, რის შემდეგაც ფეხბურთელმა ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო. „ბრენტფორდის“ 44 წლის გერმანელი დამრიგებელი **უვე როსლერი** (ის „მანჩესტერ სიტიში“ **გიორგი ქინქლაძესთან** ერთად თამაშობდა. რედ) იძულებული გახდა, მოთამაშე შეეცვალა. მატჩის დასრულების შემდეგ ლუისი მეტოქის გასახდელში გამოცხადდა, რათა რივზისთვის პირადად მოეხადა ბოდიში. *„ჯეიკს სერიოზული არაფერი სჭირს, ის მზად იყო მოედანზე დასაბრუნებლად, მაგრამ ექიმების რჩევით ამის უფლება აღარ მივეცი. რივზი რამდენიმე დღეში უკვე შეძლებს თამაშს. ტრავმის ეპიზოდი არ მინახავს, მაგრამ ლუისის მხრიდან ბოდიშის მოხდა ნამდვილი ჯენტლმენის საქციელია,“* – აცხადებს როსლერი.

### ტერი ჭორებს უარყოფს

კვირას ბრიტანულმა პრესამ „ჩელსის“ ბანაკში მორიგ განხეთქილებაზე გაავრცელა ინფორმაცია. ჩვენი კოლეგების ცნობით, **რაფა ბენიტესსა** და კაპიტან **ჯონ ტერის** შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ესპანელმა ფეხბურთელი „ნიუკასლთან“ წაგებაში (3:2) მთავარ დამნაშავედ გამოაცხადა. აი, რა თქვა 31 წლის ვარსკვლავმა: *„ამ ინფორმაციას უკვე გავეცანი. მინდა გითხრათ, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტების ფანტაზიაა. ბენიტესი კარგად მიცნობს და იცის, რომ თამაშისთვის ყოველთვის მზად ვარ. დიდხანს ვმკურნალობდი, კეჰილი და ივანოვიჩი კი დაცვის ცენტრში თავიანთ ფუნქციას შესანიშნავად ართმევდნენ თავს. მესმის, რომ ძირითადში მოსახვედრად დიდი კონკურენცია, მაგრამ ამის მიუხედავად სასაყვედურო არაფერი მაქვს“.* ანალოგიური განცხადება გააკეთა ბენიტესმაც.

### როჯერსი: კარა ჩვენთან დარჩება

მიმდინარე სეზონი **ჯეიმი კარაგერისთვის** უკანასკნელია პროფესიულ კარიერაში. 35 წლის ვეტერანმა „ლივერპულს“ 17 წელი მიუძღვნა. „წითლებს“ ლეგენდარული სკაუზერი არ ეთმობათ. **ბრენდან როჯერსი** დარწმუნებულია, რომ ჯეიმის კლუბი თავის სტრუქტურაში გამოუნახავს სამუშაოს: *„კარამ მთელი კარიერა ერთ კლუბს შესწირა იმის მიუხედავად, რომ მისგან, როგორც ადგილობრივი მოთამაშისგან, ყოველთვის უფრო მეტს ითხოვდნენ, ვიდრე სხვებისგან. ჯეიმი დიდი ადამიანია. ის უზარმაზარ გავლენას ახდენდა გარშემო მყოფებზე მოედანზეც და ცხოვრებაშიც. ჩემთვის, „ლივერპულის“ მენეჯერისთვის დიდი პატივია მასთან მუშაობა, რადგან ის ჭეშმარიტი ღირებულებების დამცველი კაცია. ჯეიმი დღემდე თავაუღებლად ვარჯიშობს, რათა დაამტკიცოს, რომ ჯერ კიდევ ფორმაშია და შეუძლია, გუნდისთვის სასარგებლო იყოს. საპატიო ასაკშიც კი ის პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო უკანახაზელად რჩება. ვიცი, რომ მას ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, თუ რას გააკეთებს. არ გამიკვირდება, თუკი ცოტა ხნით გაუჩინარდება და კარგად დაისვენებს. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთან აუცილებლად დაბრუნდება“.*

### რამდენი გულშემატკივარი ჰყავს იუნაიტედს?

ალიარებულია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გულშემატკივართა ყველაზე დიდი არმია ჰყავს მთელ მსოფლიოში. საინფორმაციო-საკონსულტაციო ქსელმა „კანტარმა“ მსოფლიოს 39 ქვეყანაში 54 ათასი ადამიანი გამოიკითხა და დაადგინა, რომ „წითელი ეშმაკების“ გულშემატკივართა რიცხვი მსოფლიოში 650 მილიონს აჭარბებს. აქედან 325 მილიონი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ცხოვრობს; 173 - ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში, 90 - ევროპაში და 71 - ამერიკის კონტინენტზე. კომპანიის კვლევების დირექტორის **რიჩარდ ბრინკმანის** თქმით, ცდომილება მაქსიმუმ 1%-ს შეიძლება აღწევდეს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტული ადამიანი შესაძლოა, პარალელურად რამდენიმე კლუბს გულშემატკივრობდეს. „ჩელსის“ მარკეტინგის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის **ბენ უელსის** აზრით კი, ასეთი მასშტაბის გამოკითხვის ჩატარება იქამდე, ვიდრე კლუბი საკუთარ აქციებს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გაიტანდა, შეიძლება კარგად გათვლილი პიარაქცია იყოს და რეალობასთან მას საერთო არაფერი ჰქონდეს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# მაისურაძემ ხარაგაული დაგვანახვა

გლდანის სპორტსკოლამ წლეულსაც უმასპინძლა სახელოვანი მწვრთნელის - ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1996-97 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. ამჯერად ტურნირში არ გამოდიოდნენ ბოლო წლების უცვლელი მონაწილეები - სომხეთის ნაკრების წევრები. სამაგიეროდ, ჩამოვიდნენ აზერბაიჯანელები, რასაც მასპინძლებიც დაემატნენ და საბოლოოდ ტურნირში 124 მონაწილე ჩაება, რაც სოლიდური ციფრია. ადგილობრივი გუნდებიდან აღსანიშნავია ხარაგაულის გუნდის გამოჩენა. იქ თავისუფალი ჭიდაობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული და ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონიც ჰყავთ - **თედორე ებანოიძე**, თუმცა ბერძნულ-რომაულში ჯგუფი შედარებით ახალი გახსნილია და ოფიციალურ ტურნირზე პირველად გამოვიდნენ.

მემორიალს ესწრებოდნენ და დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდნენ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძე**, გლდანი-ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი **სოსო ჯაჭვლიანი**, ოლიმპიური ჩემპიონი **ვახტანგ ბლაგიძე**, მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე**, ვეტერანი მოჭიდავეები - **სოსო ბერიშვილი**, **ხვიჩა მეფარიშვილი**, **ვასილ ქარსელაძე** და სხვები. მათ გამარჯვებულები მედლებითა და თასებით დააჯილდოეს, ვასილ მაისურაძის სახელობის თასი კი ქარსელაძემ 100 კილოგრამში გამარჯვებულ ქუთაისელ **ზვიად პატარიძეს** გადასცა.

ეს მოზარდები ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადებიან და მწვრთნელი **ვაჟა კრავეიშვილიც** კადრების შერჩევის პროცესშია. სამწუხაროდ, უფულობის გამო ბაკურიანში დაგეგმილი შეკრების გავლა ვერ ხერხდება, მარტის ბოლოს კი ჭაბუკებს საქართველოს ჩემპიონატი ელოდებათ.

**კვარცხლბეკი**

**42 კგ.** 1. ლერი აბულაძე; 2. თორნიკე მელაძე (ორივე - ხულო); 3. ზიად ზეინალოვი (აზერბაიჯანი), თემურ გოგია (სენაკი).

**46 კგ.** 1. თემურ შავაძე (ხულო, სსიპ-ცენტრი); 2. ფარიდ მეჰდიევი (ზაერბაიჯანი); 3. საბა ბაბილუა, რომიკო გადილია (ორივე - სენაკი).

**50 კგ.** 1. დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი); 2. ზურაბ სიმონია (სენაკი); 3. რომან ხურცილავა (აბაშა), მემატ ჰაჯიევი (აზერბაიჯანი).

**54 კგ.** 1. იური ლომაძე (ოზურგეთი); 2. გიორგი კურტანიძე (გარდაბანი); 3. ლევან რამაზაშვილი (თბილისი), ირაკლი შავაძე (ბათუმი).

**58 კგ.** 1. ლევან ქავჟარაძე (ოზურგეთი); 2. ვლადიმერ შავაძე (ბათუმი); 3. ნიკოლოზ ჭიკაიძე (გარდაბანი), გიორგი ბაკურაძე (ოზურგეთი).

**63 კგ.** 1. სულიკო ვახტანგაძე (სამტრედია); 2. გიგა ჩხაიძე (ბათუმი); 3. გულივერ კვერლელიძე, ბორის ტულუში (ორივე - ოზურგეთი).

**69 კგ.** 1. გიორგი მელია (სამტრედია); 2. რამაზ კვეტენაძე (ქუთაისი); 3. სეიმურ აბდვილაევი (აზერბაიჯანი), გიორგი ბოლღაშვილი (რუსთავი).

**85 კგ.** 1. გიგა ქოქოლაძე (აჭარა); 2. ვასილ თავბერიძე (ოზურგეთი); 3. შოთა ცალულელაშვილი (გარდაბანი), ზვიად ფუტკარაძე (ბათუმი).

**100 კგ.** 1. ზვიად პატარიძე (ქუთაისი); 2. თენგიზ ძებნიაური; 3. დავით ხრდაევი (ორივე - თბილისი), გურამ ტორაძე (ქუთაისი).

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. სარეიტინგო ტურნირი

# ახალი რეალობა ახალი სახელებით

ამუქმეებზე ძიუდოს აკადემიაში მორიგი სარეიტინგო ტურნირი ჩატარდა ჭაბუკთა უმცროს ასაკში - 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის - გოგოებშიც და ბიჭებშიც. ეს ის თაობაა, რომელიც „თბილისი-2015“ ფესტივალისთვის ემზადება, მაგრამ წლეულს ასაკობრივი ცენზი შეიცვალა - 2000 წელს დაბადებულთა ნაცვლად ამჯერად შეჯიბრებებში 1998-წლიანები ჩაებნენ, რომლებსაც აქამდე ნაკლებად უწევდათ ტურნირებში გამოსვლა. ამ ცვლილებით ასპარეზზე სრულიად ახალი სახეები შემოვიდა, რამაც შარშანდელ რეიტინგებში ბევრი რამე არია, შეიცვალა წონებიც. თუმცა ესეც აუცილებლობაა, რეიტინგი კი თავიდან დალაგდება.

ასეთი მკვეთრი ცვლილებების გამო, ბუნებრივია, უმეტეს წონებში ჩემპიონებად ახლები ვიხილეთ, მხოლოდ მძიმე წონაში გაიმარჯვა ქუთაისელმა **ამირან წიქორიძემ**, რომელიც წინა წლებშიც იმარჯვებდა ამავე წონაში. ოღონდ შარშან მძიმე თუ +60 იყო, წლეულს +81 კილოგრამია. გასაგებ მიზეზთა გამო, გოგოებში ახალი სახეები ბევრნი არ გამოჩენილან, რადგან იქ მოვარჯიშეთა რიცხვიც მცირეა და არჩევანიც შეზღუდულია. ამიტომ მათი წონები მონაწილეთა რაოდენობით ჩამოუვარდებოდა ბიჭებისას, ზოგან კი მედლები სრულად ვერც გათამაშდა. უახლოეს დღეებში ამ ტურნირის მედალოსნები და მწვრთნელთა მიერ შერჩეული რამდენიმე პერსპექტიული მოზარდი ბაკურიანში გაემგზავრებიან შეკრებაზე. შეგახსენებთ, რომ ესენი ფესტივალისთვის საგანგებოდ შედგენილი პროგრამით ემზადებიან, რომელსაც **ირაკლი უზნაძის** ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად გადაყვანის შემდეგ **თამაზ კარიაული** ხელმძღვანელობს.

**კვარცხლბეკი**

**ბიჭები**

**46 კგ.** 1. ალეკო მამიაშვილი; 2. თემურ ნოზაძე (ორივე - შიდა ქართლი); 3. ვანო ხუბაშვილი, თორნიკე აბულაძე (ორივე - მცხეთა-მთიანეთი).

**50 კგ.** 1. რობიზონ ბეგლარაშვილი (შიდა ქართლი); 2. გელა გარაყანიძე (თბილისი); 3. ვაჟა აბრამიშვილი (კახეთი), ალეკო კაიდარაშვილი (აჭარა.

**55 კგ.** 1. ალეკო სულაკაძე (იმერეთი); 2. შოთა ბესიაშვილი (თბილისი); 3. ელგუჯა ორკოდაშვილი (კახეთი), ბაგრატ ნანიაშვილი (ქვემო ქართლი).

**60 კგ.** 1. ვანო მახათაძე (შიდა ქართლი); 2. გუგა გოგიტიძე (აჭარა); 3. ხარება ზურაბიანი (თბილისი), ნიკა ბურდული (კახეთი).

**66 კგ.** 1. ნიკა ლაბაძე (კახეთი); 2. ლაშა დუდაშვილი; 3. ნოდარ წამალაიძე (ორივე - თბილისი), ჭაბუკი კირაკოზაშვილი (კახეთი).

**73 კგ.** 1. გოგა ქევხიშვილი (სამცხე-ჯავახეთი); 2. გიორგი ყალაბეგაშვილი; 3. ზაურ კენჭაძე, ონისე სანებლიძე (სამივე - თბილისი).

**81 კგ.** 1. გიორგი გოგოლიძე (იმერეთი); 2. ნიკა სიდამონიძე (შიდა ქართლი); 3. ელდარ ჯიქიძე (კახეთი), ოთარ დარსაველიძე (იმერეთი).

**+81 კგ.** 1. ამირან წიქორიძე (იმერეთი); 2. დავით ჯინჭარაძე; 3. გიორგი წონოლაშვილი (ორივე - თბილისი), ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა-მთიანეთი).

**გოგოები**

**36 კგ.** 1. ხატია შარაძე; 2. ნატო ფოთელიძე (ორივე - აჭარა); 3. ირინა ალანია, სალომე ბლიაძე (ორივე - თბილისი).

**40 კგ.** 1. ნატო ყიფშიძე (თბილისი); 2. ქეთევან ჩხაიძე; 3. თათია შარაძე (ორივე - აჭარა).

**44 კგ.** 1. მარიამ ჭანტურია (სამეგრელო - ზემო სვანეთი); 2. მარიამ თოდუა; 3. ევგენია ჯიშკარიანი (ორივე - თბილისი), ქეთევან მიქაბერიძე (აჭარა).

**48 კგ.** 1. ნინო მგელაძე; 2. ნათია ზოსიძე (ორივე - აჭარა); 3. მარიამ გორგოძე (იმერეთი), ქეთევან რეხვიაშვილი (თბილისი).

**52 კგ.** 1. ეთერ ლიპარტელიანი (რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი); 2. შორენა შარაძე (აჭარა).

**57 კგ.** 1. მზია ბებოშვილი (თბილისი); 2. ქრისტინე მამულიძე; 3. სალომე ლომაძე (აჭარა), თამარ კაკაშვილი (თბილისი).

**63 კგ.** 1. თათია მიქაბერიძე (აჭარა); 2. სალომე მჭედლიშვილი; 3. მარიამ გაბარაშვილი (ორივე - თბილისი), მარიამ გოგოლაძე (შიდა ქართლი).

**+63 კგ.** 1. სოფიო სომხიშვილი; 2. თამარ მჭედლიშვილი (ორივე - თბილისი); 3. ელისო სისაური (კახეთი), ქრისტინე ფუტკარაძე (იმერეთი).

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# გოგონებმა დაასრულეს, ვაჟებმა განაახლეს



გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის დარბაზში დამთავრდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობის მე-2 ტური. შეჯიბრებაში 10 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორ ქვეჯგუფში არიან განთესილი. ბათუმელი და ლაგოდეხელი გოგონები მე-2 ტურის მატჩებზე არ გამოცხადდნენ, რის გამოც მათ ტექნიკური წაგება 0:10 ჩაეწერათ ყველა შეხვედრაში.

დღეისთვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: **A ჯგუფი.** „მართვე“ - 8 ქულა (54:20), სტუ - 6 (56:23), „საბურთალო“ - 4 (25:42), „ბათუმი“ - 0 (0:30), „ლაგოდეხი“ - 0 (0:30). **B ჯგუფი.** ფოთი - 8 (82:30), ყვარელი - 6 (68:29), „მორკინალი“ - 4 (39:47), „კორიდა“ - 2 (41:49), „ოლიმპი“ - 0 (11:86).

■ ■ ■

გუშინ განახლდა 1996-1997 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობს. აღმოსავლეთის ნაკრებმა, რომელსაც 6 ქულა ჰქონდა, ასპარეზობის აუტსაიდერ „რუსთავს“ 37:34 მოუგო. წარმატებას მიაღწია დასავლეთის ნაკრებმაც - დაძაბულ პაექრობაში მე-3 ადგილზე მყოფ გორის „კულას“ აჯობა - 37:36.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა

# ოცდათექვსმეტის ძიებაში

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს, 1999-2000 წლებში დაბადებული მძლეოსნები იასპარეზებენ, ამიტომაც ამ ასაკის გოგო-ბიჭების სანაკრებოდ შერჩევას და მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა. გასულ უქმეებზე დიდუბის მანეჟში სწორედ 12-13 წლის მოზარდებმა იასპარეზეს.

სხვადასხვა რეგიონის 150-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. წინა შეჯიბრებების მსგავსად ისევ იყოჩალა



ზუგდიდელმა **მარიამ ჩაკაბერიამ,** რომელმაც 150 მეტრი 20 წამში გაირბინა, 60 მეტრი თარჯებით კი 9,2 წამში დაფარა. კარგი შედეგი აჩვენა 60 მეტრზე თბილისელმა **თეო მაჭარაშვილმა** - 7,7 წამი. დედაქალაქელმა **ნინო წიქვაძემ** ბადრო 38,71 მეტრს გადააცილა. სამივე სპორტსმენი 1999 წელსაა დაბადებული. თბილისელი **გიორგი ლომიძე** 12 წლისაა. ორი თვეა, რაც მძლეოსნობაში ვარჯიშობს. იმის მიუხედავად, რომ კვირას მხოლოდ საკუთარ თავს ეჯიბრებოდა, მისმა ნატყორცნმა ურომ 31,76 მეტრი იფრინა, რაც ამ ასაკისთვის, თანაც დებიუტანტისთვის, სულაც არ არის ურიგო. როგორც მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა** გვითხრა, საქართველოს პირველობის შედეგებით შეირჩევა 1999-2000 წლებში დაბადებული 36 მძლეოსანი, რომლებსაც 50-50 ლარი სტიპენდია დაენიშნებათ და მიზანმიმართულად 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისთვის მოსამზადებელი პროგრამით ივარჯიშებენ. საწვრთნელ შეკრებებთან ერთად მათთვის სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაცაა დაგეგმილი.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები. 60 მ.** 1. თეო მაჭარაშვილი (თბილისი, 7,7), 2. ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 8,4), 3. ჯენეტ გოდაბრელიძე (თბილისი, 8,6). **60 მ. თარჯრბენი**. 1. მარიამ ჩაკაბერია (9,2), 2. მარინე ჯომიდავა (ორივე - ზუგდიდი, 11,8), 3. ანა გუგუნიშვილი (თბილისი, 12,8). **150 მ.** 1. მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 20,0), 2. ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 21,0), 3. თამარ ბუთიაშვილი (თბილისი, 21,6). **300 მ.** 1. მაკა სანიკიძე (ვანი, 47,1), 2. ნინა ცერცვაძე (50,0), 3. სალომე ლაფანაშვილი (ორივე - თბილისი, 50,6). **600 მ.** 1. მაკა სანიკიძე (ვანი, 1.46,6), 2. ნინა ცერცვაძე (თბილისი, 1.48,7), 3. მართა ჯვარიძე (ახალციხე, 1.57,5). **სიმაღლეზე ხტომა**. 1. მარი მნითური (147), 2. ვიქტორია შიშლოვა (ორივე - თბილისი, 130), 3. ნინი წიქორიძე (ქუთაისი, 95). **ჭოკი.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 210). **სიგრძეზე ხტომა**. 1. ვიკა შიშლოვა (თბილისი, 445), 2. მარიამ ჯომიდავა (ზუგდიდი, 433), 3. ჯენეტ გოდაბრელიძე (თბილისი, 422). **ბირთვი**. 1. სალომე თურმანიძე (თბილისი, 7,55), 2. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 7,31), 3. თამარ ჩოგოვაძე (თბილისი, 6,47). **ბადრო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 38,71), 2. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 28,784), 3. სალომე თურმანიძე (თბილისი, 18,66).

**ვაჟები. 60 მ.** 1. რომიკო ბადრიძე (7,6), 2. არჩილ ჭაფოძე (ორივე - თბილისი, 8,1), 3. მერაბ მიმინოშვილი (აბაშა, 8,2). **60 მ. თარჯრბენი**. 1. დათო ლუკავა (ზუგდიდი, 9,1), 2. ლუკა კურდღელია (ქუთაისი, 12,4). **150 მ.** 1. რომიკო ბადრიძე (18,8), 2. ელგუჯა მახნიაშვილი (ორივე - თბილისი), 3. მერაბ მიმინოშვილი (აბაშა, 20,1). **300 მ.** 1. დავით ლუკავა (ზუგდიდი, 41,6), 2. ელგუჯა მახნიაშვილი (42,4), 3. ვოვა ამირგულიანი (ორივე- თბილისი, 45,3). **1000 მ.** 1. როინ გასანოვი (თბილისი, 3.03,8), 2. გივი ბირჩაძე (ახალციხე, 3.25,2), 3. თორნიკე ცალულელაშვილი (თბილისი, 3.26,6). **სიმაღლეზე ხტომა**. 1. ბესო სოხაძე (155), 2. ზურა მიქაია (ორივე - თბილისი, 150), 3. შოთა კობეშავიძე (ქუთაისი, 125). **ჭოკი.** 1. მიხეილ ცანავა (240), 2. ლაშა ქარქუსაშვილი (220), 3. ნიკოლოზ ცაგარეიშვილი (სამივე - თბილისი, 170). **სიგრძეზე ხტომა**. 1. ირაკლი ბერუაშვილი (გორი, 489), 2. ბესო სოხაძე (454), 3. მიხეილ ცანავა (ორივე - თბილისი, 428). **ბირთვი.** 1. გიორგი კეთილაძე (ხონი, 11,68), 2. დავით ოჩიგავა (აბაშა, 10,26), 3. გიორგი დავითაშვილი (სიღნაღი, 9,62). **ურო.** 1. გიორგი ლომიძე (თბილისი, 31,76). **ბადრო.** 1. გიორგი დავითაშვილი (სიღნაღი, 32,70), 2. დავით ოჩიგავა (აბაშა, 31,55), 3. ლაშა გურგენიძე (თბილისი, 24,14).

■ ■ ■

აქვე გაუწყებთ, რომ 1-3 მარტს შვედური გოთენბურგი ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სამი ქართველი სპორტსმენიც იასპარეზებს. ამერიკიდან ჩამოვა ორი ოლიმპიური თამაშების მონაწილე **მარიამ ქევხიშვილი,** რომელმაც განაახლა ვარჯიში და ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ბირთვი 16,17 მეტრზე კრა. კონტინენტის სიმაღლეზე მხტომელებს გაეჯიბრება **ზურაბ გოგოჭური**. იგი ორი თვეა, ბელარუსში იმყოფება და იქაური მწვრთნელების ხელმძღვანელობით იმაღლებს ოსტატობას. უკვე სამ შეჯიბრებაში მოასწრო გამოსვლა. მოგილიოვის „მეტატექსის“ ღია პირველობაზე 215 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია, რამდენიც საუკეთესო ბელარუსმა მძლეოსანმა ზაიცევმა და მხოლოდ ცდების რაოდენობით დათმო პირველი ადგილი. ბელარუსის თასის გათამაშებაზე 216 სანტიმეტრით მესამე იყო, ხოლო სლავთა ქვეყნის ღია პირველობაზე ასეთივე შედეგით მე-4 ადგილი დაიკავა. სამხტომში **ლაშა ლულელაური** იასპარეზებს. ამჟამად იგი ბაქოში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე და შვედეთში გამგზავრებამდე აზერბაიჯანის ღია პირველობაში იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის.

9-10 თებერვალს ჩერნოგორიაში ევროპის ზამთრის ჩემპიონატი გაიმართება ტყორცნებში. იქ ბადროს მტყორცნელი **სალომე რიგიშვილი** გაემგზავრება.

**ვაჟა დანელია**

სუმო

# ქართველმა დიდი ჩემპიონი დაამარცხა!

ტოკიოს დარბაზ „კოკუგიკანში“ ტრადიციული, ერთდღიანი ტურნირი გაიმართა სუმოში, სადაც ძალიან კარგად იასპარეზა **ლევან გორგაძემ** იმავე **ტოჩინოშინმა**.

ჩვენებური ტურნირის მეოთხედფინალში დიდ ჩემპიონ **ჰარუმაფუჯის** შეხვდა, რომელმაც იანვრის ბაშოზე იმპერატორის თასი მოიგო. ქართველს იოკოძუნა ბაშოზე არასოდეს დაუმარცხებია, თუმცა ამ ტურნირში მოიგო და ნახევარფინალში გავიდა.

სხვათა შორის, მე-2 წრეში ჰარუმაფუჯიმ **თეიმურაზ ჯუღელი** იგივე **გაგამარუ** დაამარცხა.

ამის შემდეგ, ნახევარფინალში ტოჩინოშინი **ტოიონოშიმასთან** დამარცხდა, ტურნირი კი ოძეკი **კაკურიუმ** მოიგო და მასთან ერთად 2,5 მილიონი იენიც. ლევანს სპეციალური პრიზი - „მებრძოლი სული“ გადაეცა, რაც დიდი პატივია.



ტოჩინოშინი პრიზის მოლოდინში

ტურნირის ადრეულ ეტაპებზე ტოჩინოშინმა (მე-2 წრეში) **ტაკაიასუს** აჯობა, მესამეში - **კოტოშოგიკუს**. გაგამარუმ ასპარეზობა მე-2 წრეში დაიწყო და, როგორც უკვე ვთქვით, ჰარუმაფუჯისთან წააგო.

სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი 25 თებერვალს გამოქვეყნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული სპორტი

### ● ჭადრაკი

# მსოფლიოს ჩემპიონის ღია გაკვეთილი

**საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი. გუშინ იგი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილს შეხვდა, რომელსაც მინისტრის მოადგილეები - თამაზ თევზაძე, რატი ბრეგაძე და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე დაესწრნენ.**

„ჭადრაკი სკოლაში" - ასე ჰქვია გარი კასპაროვის პროგრამას, რომლის დანერგვასაც იგი მთელ მსოფლიოში ცდილობს, მათ შორის - ჩვენს ქვეყანაში. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა სწორედ ამ პროგრამის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. „საქართველოში ჩემს ამჟამინდელ ვიზიტს მხოლოდ სპორტული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს, - თქვა სტუმარმა. - კარგია, რომ შარშან დაგეგმილი სასკოლო ჭადრაკის პროგრამის რეალიზება მიმდინარეობს და მას სახელმწიფო აქტიურად უჭერს მხარს. სკოლებში ჭადრაკის პროგრამის დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უძველესი თამაშის პოპულარიზაციისა და განვითარების, ასევე, მოზარდების სამომავლო განათლებისა და აზროვნების დახვეწის საქმეში".

გუშინვე გარი კასპაროვი თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლას ეწვია და ღია გაკვეთილი ჩაატარა, რომელშიც ინტერნეტით ქუთაისის 21-



ე და ფოთის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ. „შამათი ერთ სვლაში" - ასეთი იყო გაკვეთილის თემა. მოსწავლეები აქტიურად გამოეხმაურნენ სტუმრის ლექციას, მონდომებით შეასრულეს სახელოვანი დიდოსტატის მითითებები და დავალებები.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:** „კასპაროვთან ერთად საქართველოს სკოლებში ჭადრაკის სწავლების იმ თანამედროვე პროგრამის დანერგვას ვცდილობთ, რომელიც მოსწავლეებს არა მარტო ჭადრაკს, არამედ სწრაფ აზროვნებას შეასწავლის. ეს რომ მართლაც ასეა, ამაში დღევანდელმა ღია გაკვეთილმაც დაგვარწმუნა".

**გია გიორგაძე:** "გარი კასპაროვის პროგრამის დასანერგავად უკვე შევარჩიეთ 100 საჯარო სკოლა, ასევე, ჭადრაკის მასწავლებლები, რომელთა გადამზადებასაც ჩვენი ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს. დღევანდელ ღია გაკვეთილს ესწრებოდნენ განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი და განათლების სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი, რომლებმაც კასპაროვის პროგრამის ეფექტურობა საკუთარი თვალით ნახეს. იმედია, საპილოტე სკოლებში პროგრამა „ჭადრაკი სკოლაში" სექტემბრიდან ამოქმედდება. თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის გაკვეთილები მოისმინონ. პროგრამა უკვე ითარგმნა ქართულ ენაზე. დარწმუნებული ვარ, რომ „ჭადრაკი სკოლაში" სამომავლოდ დიდ წარმატებას მოგვიტანს!"

**ვაჟა დანელია**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

### ● კალათბურთი. ლეგიონის კვირა

# მეოთხედფინალის ზღურბლზე



**ნიკოლოზ ცქიტიშვილის მორიგი ორქულიანი**



**გიორგი ცინცაძე „ფეროსთან" შეხვედრისას**

#### თურქეთი

მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან დავიწყოთ, სადაც **მანუჩარ მარკოიშვილმა** გასულ კვრას ორი განსხვავებული მატჩი ჩაატარა. 17 თებერვალს „გალათასარაის" მაისურით „ეფესი" დაამარცხა, თუმცა ჯარიმების სიუხვის გამო მანუმ მხოლოდ 11 წუთი ითამაშა. სამაგიეროდ, სწორედ 11 ქულა მოაგროვა ევროთასზე რუსულ „უნიქსთან" გასვლით შეხვედრაში.

თურქეთის ჩემპიონატში „გალა" საუკეთესო სამ გუნდს შორისაა და პირველადგილოსანს მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩება. ევრთასზე კი მეოთხედფინალში მოსახვედრად აუცილებელია ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილი დაიკავოს. ხუთი ტურის შემდეგ თურქებს 2 გამარჯვება აქვთ და ბოლო ტურში შინ სერბული „ცრვენა ზვეზდას" (მასაც 2 მოგება, 3 მარცხი) დამარცხება მართებთ. თუმცა, ბევრი რამ ჯგუფის მეორე შეხვედრაზეც იქნება დამოკიდებული - „ულმი"-"უნიქსი" (ამ ორ გუნდს 3-3 გამარჯვება აქვს).

ჯგუფში სიტუაცია ჩახლართულია. ამიტომ ყველა ვარიანტის განხილვას არ მოვყვებით, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თუ პლეი ოფში თამაში უნდა, „გალათასარაიმ" დღეს (22:00 საათზე) „ზვეზდა" უნდა დაამარცხოს, ხოლო „ულმსა" და „უნიქსს" შორის რუსების გამარჯვება აძლევს ხელს. ასეთ შემთხვევაში პირველზე „უნიქსი" აღმოჩნდება, მეორეზე - „გალა" (ურთიერთშეხვედრებში მოგებათა რაოდენობით „ულმსაც" აჯობებს და „ცრვენა ზვეზდასაც").

#### უკრაინა

ასევე, მოგების შემთხვევაში გავა ევროთასის მეოთხედფინალში **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკი". მისი მეტოქე ბოლო ტურში (ოთხშაბათს) რუსული „ტრიუმფი" იქნება. მატჩი კიევში შედგება. მოკლედ, უკრაინელთა ბედი მათსავე ხელშია.

უკრაინის ჩემპიონატში „ბუდიველნიკს" საქმე უკეთესად აქვს - მისი შემჩერებელი დიდი ხანია აღარ გამოჩენილა. 30 ტურის შემდეგ 23 გამარჯვებით კიეველები ცხრილის ზედა საფეხურზე არიან. მათ ბოლო ტურში „ფერო" სტუმრად დაამარცხეს. როგორც ხშირად, ამჯერადაც სტაბილურად ჩაატარეს მეორე ტაიმი. გიორგი ცინცაძის მონაგარს ცხრილში გაეცნობით.

#### ესპანეთი

ევროთასზე მესამე ქართველიც თამაშობს - **ბექა ბურჯანაძე**, რომლის „კახასოლს" ჯგუფიდან გასვლის შანსი დიდი ხანია გადაეწურა. სამაგიეროდ, ბექას აქვს მეტი თამაშის შანსი. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას მან 12 წუთში სამი სამქულიანი გამოიყენა, ერთი ორიანი მიამატა და 11 ქულას გამორჩა.

#### იტალია

იტალიის მესამე ლიგის „ომენაში" გადასვლის შემდეგ პირველი მარცხი განიცადა **ნიკა მეტრეველმა**, რომლის გუნდმა „ბენაკისტასთან" 79:88 დათმო. მატჩის სრული სტატისტიკა შეჯიბრების ოფიციალურ საიტზე არ გამოქვეყნებულა, ამიტომ, მხოლოდ ის ვიცით, რომ ნიკამ 19 ქულა ჩააგდო.

გუშინ ღამით ითამაშა **ვიქტორ სანიკიძემ**, რომლის მონაგარსაც ცხრილში გაეცნობით. „მონტეპასკის" კი იტალიის ჩემპიონატში ჰაერივით სჭირდება გამარჯვებები, რადგან სატურნირო ცხრილში მისთვის შეუფერებელ მესამე პოზიციაზეა. სამაგიეროდ სიენელები ევროლიგაზე თამაშს თამაშზე იგებენ და პლეი ოფთანაც ახლოს არიან. გასულ კვირას მათ „კახა ლაბორალს" სძლიეს, თუმცა სანიკიძემ მხოლოდ 6 წუთი ითამაშა.

#### საბერძნეთი

ევროლიგაზე საოცარ გამარჯვებას მიაღწია **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა", რომელმაც რუსულ „ხიმკის" სტუმრად აჯობა. ამ წარმატებით ბერძნები მეოთხედფინალში გამსვლელ კვარტეტში შევიდნენ, თუმცა ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე კიდევ დიდი დროა - 7 ტურია სათამაშო.

გუშინ, „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთის ჩემპიონატში კაოდ-ს ესტუმრა და ლოგიკური შედეგიც დააფიქსირა...

#### ლიბანი

ბეირუთის „ჩამპვილი" სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს წინ. იგი უშუალო კონკურენტებს სათანადოდ უსწორდება და ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციამდე ავიდა. თუ ასე განაგრძო, „ჩამპვილი" რეგულარული ეტაპის ბოლოს პირველი უნდა იყოს.

კვირას, 17 თებერვალს **ნიკა ცქიტიშვილის** გუნდმა „მუტაჰედი" 98:94 დაამარცხა. სკიტამ შეუცვლელად ითამაშა და ორმაგი დუბლიც „გამოაცხო": 16 ქულა, 13 მოხსნა. მატჩის ბომბარდირი „ჩამპვილის" მეორე ლეგიონერი, ამერიკელი **რეიშაუნ ტერი** გახდა - 30 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



„გალათასარაი" „ეფესთან" მატჩის შემდეგ. მანუჩარ მარკოიშვილი მარჯვნიდან მეორე






| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 11.02 | NBA | დალასი VS | 101:015 | 16 | 8 | 10 | 1 | 0 | 0 |
| | | 13.02 | NBA | ორლანდო VS | 76:108 | 17 | 8 | 6 | 1 | 0 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 11.02 | NBA | ინდიანა VS | 84:89 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 13.02 | NBA | VS დენვერი | 119:108 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 13.02 | ევროთასი | უნიქსი (რუს) VS | 64-57 | 32 | 11 | 2 | 2 | 1 | 0 |
| | | 17.02 | თურქეთის ჩემპ | VS ეფესი | 77:70 | 11 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 15.02 | ევროლიგა | VS კახა ლაბორალი (ესპ) | 85:74 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | 18.02 | იტალიის ჩემპ. | პესარო VS | 78:73 | 25 | 7 | 12 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 17.02 | იტალიის ჩემპ. | ბენაკისტა VS | 88:79 | - | 19 | - | - | - | - |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 15.02 | ევროლიგა | ხიმკი (რუს) VS | 82:87 | 10 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 |
| | | 18.02 | საბერძნეთის ჩემპ. | კაოდი VS | 81:91 | 15 | 11 | 2 | 1 | 2 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 13.02 | ევროთასი | ბანვიტი (თურ) VS | 94:85 | 21 | 7 | 4 | 5 | 1 | 0 |
| | | 17.02 | უკრაინის ჩემპ | ფერო VS | 68:75 | 22 | 8 | 4 | 2 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 12.02 | ევროთასი | VS ზელონა გორა (პოლ) | 81:85 | 12 | 11 | 3 | 0 | 0 | 0 |
| | | 17.02 | ესპანეთის ჩემპ | VS სარაგოსა | 67:75 | 9 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 17.02 | ლიბანის ჩემპ. | VS მუტაჰედი | 98:94 | 40 | 16 | 13 | 1 | 1 | 2 |

ლეგიონერები

# ორი სინბინი და ხუთი ლიდერი ელიტაში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-18 ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც ერთი სენსაციური და ერთიც საკმაოდ უცნაური შედეგი დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში ცვლილება არ მომხდარა. პირველი ხუთი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს ისევ მყარად უჭირავთ.**

## I დივიზიონი

უცნაური, უფრო სწორად მოულოდნელი და არა სენსაციური შედეგით დასრულდა მატჩი ტულონში, სადაც გათამაშების ლიდერმა **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** ადგილობრივმა გუნდმა შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიე" - 51:6.

მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და 22-ე წუთზე უკვე 13:0 იგებდნენ. ცხადია, „ტულონთან" ასეთი ჩამორჩენის აღმოფხვრა ურთულესი საქმეა. „მონპელიესთვის" კი, რომელსაც საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეები აკლდა, შეუძლებელი აღმოჩნდა. მატჩის არბიტრი მათ ხშირად აჯარიმებდა. ოცი წუთის განმავლობაში კი სულაც კაცნაკლულებს მოუწიათ თამაშმა.

„ტულონმა" მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანა და „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო. ყველაზე მეტი, 26 ქულა მასპინძელთა გუნდს ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** მოუტანა (ექვსი საჯარიმო და ოთხი გარდასახვა).

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და არბიტრმა მატჩის 30-ე წუთზე გაასინბინა, ჩილაჩავა მოედანზე 56-ე წუთიდან გამოჩნდა, ჟღენტი ტრავმირებულია, მიქაუტაძეს, ნარიაშვილს და ქუბრიაშვილს არ უთამაშიათ.

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა", რომელიც 60 ქულით მეორე ადგილზეა, დიდი ანგარიშით დაამარცხა დივიზიონის აუტსაიდერი, **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი" - 56:3. ასეთი დიდი სხვაობის მიუხედავად, ვერაფრით ვიტყვით, რომ მარსანელებმა უბრძოლველად დათმეს რაიმე, რის დასტურადაც მატჩის არბიტრის მიერ სინბინში ოთხი მოთამაშის გაშვებაც გამოდგება. „ვულკანებმა" მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს და აქედან ხუთი მატჩის მეორე ნახევარზე მოდის. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

„კლერმონს" ხუთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი", რომელმაც შინ სენსაციურად წააგო „პერპინიანთან" - 18:19. საფრანგეთის ჩემპიონს რამდენიმე ნამყვანი მორაგბე აკლდა, თუმცა ასეთი უნიათო თამაში ტულუზელებისთვის უჩვეულოა. მით უფრო, მატჩის ბოლო წუთებზე. პერპინიანელები თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე დაწინაურდნენ. ჩვენებურთა გუნდს საკმარისი დრო ჰქონდა თამაშის გადასარჩენად, მაგრამ თავდადებით მოასპარეზე მეტოქესთან ვერას გახდა.

ტრავმამოშუშებული კაკოვინი თამაშში 78-ე წუთიდან ჩაერთო, ბრეგვაძე განაცხადში არ იყო.

„ტულუზს" ხუთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც სტუმრად წააგო ბასკურ „ბიარიცთან" - 15:9. მასპინძლებს 15 ქულა ხუთი საჯარიმო დარტყმით ქართული წარმოშობის ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა** მოუტანა. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ", რომელიც 41 ქულით მე-9 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს, შინ მოუგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორდოს" - 30:14. აღსანიშნავია, რომ პარიზელები 39-ე წუთიდან მატჩის ბოლომდე კაცნაკლულნი თამაშობდნენ. არბიტრმა წითელი ბარათი იტალიის ნაკრების კაპიტანს **სერჯო პარისეს** უჩვენა. ჟვანია განაცხადში არ იყო.

**I დივიზიონი**
**XVIII ტური**

ტულუზი-პერპინიანი 18:19, ტულონი-მონპელიე 51:6, მეტრო რასინგი-ბაიონი 15:10, კლერმონი-მონ დე მარსანი 56:3, გრენობლი-აჟენი 27:13, სტად ფრანსე-ბორდო 30:14, ბიარიცი-კასტრი 15:9.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ტულონი - 66 ქულა, 2. კლერმონი - 60, 3. ტულუზი - 55, 4. კასტრი - 50, 5. მონპელიე - 49, 6. მეტრო რასინგი - 46, 7. გრენობლი - 46, 8. პერპინიანი - 43, 9. სტად ფრანსე - 41, 10. ბიარიცი - 41, 11. ბაიონი - 35, 12. ბორდო - 24, 13. აჟენი - 23, 14. მონ დე მარსანი - 14.



ანტონ ფეიქრიშვილი შერკინებისას

## II დივიზიონი

მეორე დივიზიონში 21-ე ტურის მატჩების შემდეგ პლეი ოფში მოხვედრის რეალურ შანსს ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი ინარჩუნებს. ესენია: „პო", „ორიაკი", „ბრივი" და „ტარბი". ამათგან საუკეთესო მაჩვენებელი **მამუკა მაგრაქველიძის** „პოს" აქვს, რომელიც მეორე ადგილზეა. ჩვენებურის გუნდმა შინ დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე" - 15:6.

მაგრაქველიძე „პოში" თებერვლის დასაწყისში ჩაირიცხა და ამ გუნდის შემადგენლობაში მეორედ ითამაშა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და არბიტრმა 36-ე წუთზე გაასინბინა. ამასთან, მაგრაქველიძემ ცხვირი გაიტეხა და საოპერაციო შეიქნა. შეყლაშვილს არ უთამაშია.

„პოს" ხუთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელიც შინ ფრეს დასჯერდა **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტან ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **კახაბერ კობერიძის** „ალბისთან" - 22:22. თამაში დრამატული სცენარით განვითარდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს - 6:5.

შესვენების შემდეგ „ალბი" საგრძნობლად გააქტიურდა და 64-ე წუთისთვის ათი ქულის სხვაობით იგებდა - 22:12. ორიაკელებმა ვითარების გამოსწორება დასკვნით ექვს წუთში შეძლეს. მათ ჯერ ლელო გაიტანეს, მერე კი მატჩის ბოლო წუთზე საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრეს.

ასეიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს, დათუნაშვილმა 38 წუთით მეტი ითამაშა, თეთრაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 43-ე წუთიდან გამოჩნდა, 18 წუთის შემდეგ თამაშში მაისურაძეც ჩაერთო. ნაცარაშვილი, ახობაძე, კობერიძე და თოდუა განაცხადში არ იყვნენ.

„ორიაკს" ორი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ოში" - 22:16. სტუმრები უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ და მათი გამარჯვება ეჭვს ქვეშ არ დამდგარა.

ნატრიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, შველიძეს არ უთამაშია.

ბრიველებს ორი ქულით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბი", რომელმაც შინ სძლია „ექსს" - 33:16. მასპინძლები პირველი ტაიმის 30 წუთის განმავლობაში აგებდნენ და ანგარიშში დაწინაურება მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს - 15:13.

შესვენების შემდეგ ტარბელები უფრო მობილიზებულად გაისარჯნენ და მეტოქე უშანსოდ დატოვეს. მატჩში ოთხივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ნემსაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მირცხულავა და დადუნაშვილი მოედანზე ერთდროულად, 56-ე წუთიდან გამოჩნდნენ, ჩხაიძე თამაშში 17 წუთის შემდეგ ჩაერთო.

ისევ დამარცხდა **გურამ კავთიძის** „ლიონი", რომელიც სეზონის დაწყების წინ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიაზრებოდა. ლიონელებმა ამჯერად ვერაფერი გააწყვეს სტუმრად „ნარბონთან" - 21:32. კავთიძე განაცხადში არ იყო.



მარცხნიდან: გიორგი ჩხაიძე, ირაკლი მირცხულავა და დავით დადუნაშვილი

**შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი", რომელიც 25 ქულით ბოლო ადგილზეა, შინ ფრეს დასჯერდა უშუალო კონკურენტ **ტარიელ რატიანიძის** „დაქსთან" დაპირისპირებაში - 20:20. დაქსელები თამაშის დასაწყისშივე დაწინაურდნენ - 10:0, თუმცა მასპინძლებმა ტაიმის ფრედ დასრულება მაინც შეძლეს - 10:10.

შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა. წინ მუდმივად „დაქსი" იყო და პარიზულმა გუნდმა ფრეს მიღწევა თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე შეძლო.

სუთიაშვილმა სრულად ითამაშა, რატიანიძე 54-ე წუთზე შეცვალეს, აშვეთია განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**
**XXI ტური**

ტარბი-ექსი 33:16, ორიაკი-ალბი 22:22, ოში-ბრივი 16:22, პო-ბეზიე 15:6, მასი-დაქსი 20:20, ნარბონი-ლიონი 32:21, ლა როშელი-კოლომიე 21:17, ოიონაქსი-კარკასონი 32:5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ოიონაქსი - 82 ქულა, 2. პო - 66, 3. ლა როშელი - 66, 4. ორიაკი - 61, 5. ბრივი - 59, 6. ტარბი - 57, 7. კარკასონი - 55, 8. ლიონი - 49, 9. ნარბონი - 48, 10. ალბი - 45, 11. კოლომიე - 44, 12. ოში - 34, 13. ექსი - 33, 14. დაქსი - 32, 15. ბეზიე - 26, 16. მასი - 25.

## კელტთა ლიგა

კელტთა ლიგაში ისევ წარუმატებლად თამაშობს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი". ეს შოტლანდიური კლუბი ამჯერად შინ დამარცხდა უელსურ „კარდიფთან" - 16:17. ბასილაიას არ უთამაშია. წლევანდელი შედეგებით გუნდის ხელმძღვანელები, ცხადია, უკმაყოფილონი არიან და მთავარ მწვრთნელს **მაიკ ბრედლის**, ხელშეკრულებას არ უგრძელებენ.

შეგახსენებთ, რომ ბრედლი სანამ „ედინბურგში" მთავარ მწვრთნელად დაინიშნებოდა, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **რიჩი დიქსონის** ასისტენტი იყო.

**კელტთა ლიგა**
**XV ტური**

ნიუპორტი-გლაზგო 3:60, ალსტერი-ზებრე 26:3, ედინბურგი-კარდიფი 16:17, ქონოთი-ოსფრიზი 22:10, ლენსტერი-ბენეტონი 40:5, ჰლანეჰლი-მანსტერი 18:10.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ალსტერი - 58 ქულა, 2. გლაზგო - 51, 3. ლენსტერი - 49, 4. ჰლანეჰლი - 46, 5. მანსტერი - 41, 6. ოსფრიზი - 39, 7. კარდიფი - 32, 8. ბენეტონი - 27, 9. ქონოთი - 24, 10. ედინბურგი - 23, 11. ნიუპორტი - 18, 12. ზებრე - 6.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ტურნირები



ხუან მარტინ დელ პოტრო

# რაონიჩის ამერიკული ჰეთ-თრიკი

გასულ კვირას ქალთა და მამაკაცთა პროფესიულ ტურში ოთხი ტურნირი გაიმართა. მათგან ორის შესახებ უკვე გიამბეთ - დოჰაში **ვიქტორია აზარენკამ** გაიმარჯვა, სან პაულუში კი დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ, პირველი ტიტული მოიგო **რაფაელ ნადალმა**.

ამ ორი შეჯიბრების გარდა, წინა კვირას მამაკაცთა ორ ტურნირს როტერდამი და სან ხოსე მასპინძლობდნენ.

ჰოლანდიაში გასულ წელს **როჯერ ფედერერმა** გაიმარჯვა და ამჯერად, მას ტიტულის დაცვა ჰქონდა განზრახული. მაგრამ ორი დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, შვეიცარიელმა მოულოდნელად წააგო მეოთხედფინალი ფრანგ **ჟულიენ ბენეტოსთან**. ეს უკანასკნელი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ფედერერთან ყოველთვის კარგად თამაშობს: 2009 წელს მოუგო პარიზის მასტერსზე, 2012 წლის უიმბლდონზე კი სეტებში 2:0-ს უგებდა, ორი ბურთი აშორებდა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ დამარცხდა.

როტერდამში ბენეტომ ორ სეტში მოუგო თანამედროვე ჩოგბურთის ლეგენდას - 6:3, 7:5. როჯერმა განაცხადა, რომ ავსტრალიის ღიას შემდეგ ბევრი არ უვარჯიშია, თუმცა არც ფრანგის კარგი თამაშის აღნიშვნა დავიწყებია.

სატურნირო ბადეში როჯერ ფედერერის მხარეს ასევე მოულოდნელად წააგო **ჟო-ვილფრიდ ცონგამ**, ასე რომ, ბენეტოს ფინალისკენ გზა ხსნილი ჰქონდა და ნახევარფინალში თანამემამულე **ჟილ სიმონი** დაამარცხა - 6:4, 7:6(2). რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, ბულგარელმა **გრიგორ დიმიტროვმა** ბრძოლა მოახვია თავს **ხუან-მარტინ დელ პოტროს**, მაგრამ მთავარ მატჩში მაინც არგენტინელი გავიდა - 6:4, 6:4.

ბენეტოს აქამდე ATP-ის ტურში შვიდიდან შვიდი ფინალი ჰქონდა წაგებული და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა. თითქმის თანაბარ გადამწყვეტ მატჩში დელ პოტრომ ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა და 7:6(2), 6:3 მოიგო. აღსანიშნავია, რომ ორივე ჩოგბურთელმა ჯამში 27 ეისი შეასრულა.

■ ■ ■

სან ხოსეში კი დაიწყო ღია ჰარდზე ამერიკული ტურნირების სერია. ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღება თანდათან ჩრდილოეთ ამერიკაში გადაინაცვლებს, რადგან სწორედ იქ გაიმართება ორი უახლოესი დიდი ტურნირი - ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსები.

თუმცა მთავარი ვარსკვლავები ჯერ ისევ ევროპაში არიან და ამიტომაც, სან ხოსეში საკმაოდ მოკრძალებული შემადგენლობა შეიკრიბა.

რა თქმა უნდა, სატურნირო ბადის ძირითად ნაწილს ამერიკელები შეადგენდნენ. მათ ემატებოდა ტურნირის ორგზის მოქმედი ჩემპიონი, კანადელი **მილოშ რაონიჩი**. ამ უძველესი ტურნირის (1889 წელს არის დაარსებული) ერთ-ერთი გამორჩეული თავისებურება ის არის, რომ ყველა მატჩი ერთ კორტზე ტარდება.

მოქმედი ჩემპიონი ყოველგვარი გართულებების გარეშე გავიდა ფინალში. ნახევარფინალში რაონიჩმა **სემ კუერის** 12 ეისის დახმარებით 6:4, 6:2 მოუგო. საინტერესოა, რომ მეორე ნახევარფინალი **ტომი ჰაასსა** და **ჯონ ისნერს** შორის ასევე ზუსტად ერთი საათი გაგრძელდა და ჰაასმა 6:3, 6:4 გაიმარჯვა.

გადამწყვეტ მატჩში რაონიჩმა ჰეთ-თრიკი გაიფორმა (ტიტულები 2011-13 წლებში) - 6:4, 6:3 მოიგო ფინალი. მილოში ბრწყინვალედ აწვდიდა და 19 ეისი შეასრულა, აგრეთვე პირველ მოწოდებაზე ქულების 90 პროცენტი აიღო. ჰაასმა ვერც ერთი ბრეიკ-პოინტი ვერ მოიპოვა.

**SAP Open**

**სან ხოსე (აშშ). ჰარდი**

**ფინალი**

**მილოშ რაონიჩი** (კან, 1)-ტომი ჰაასი (გერ, 4) 6:4, 6:3.

**Tennis Championship**

**როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი**

**ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ, 2)-ჟულიენ ბენეტო (საფ) 7:6(2), 6:3.

## ახალი პირველი ნომერი და მცირე ცვლილებები

ამერიკელი **სერენა უილიამსი** კარიერაში მეექვსედ გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. გუშინ გამოქვეყნებული ახალი რეიტინგის თანახმად, უმცროსმა უილიამსმა უკან ჩამოიტოვა ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**, რომელთანაც კვირას დოჰას ტურნირის ფინალი დათმო.

გარდა ამისა, WTA-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ოცეულში ორი ცვლილება მოხდა. ამერიკელმა **სლოან სტივენსმა** იტალიელ **რობერტა ვინჩის** გაუსწრო, რუსმა **ეკატერინა მაკაროვამ** კი გერმანელ **იულია გორგესს** გაუცვალა ადგილი.

■ ■ ■

ATP-ის რეიტინგის TOP20-ში დაბრუნდა მსოფლიოს ყოფილი მეორე ჩოგანი **ტომი ჰაასი**. კლასიფიკაციის ახალი ვერსიის თანახმად, გერმანელმა ჩოგბურთელმა 22-დან მე-18 პოზიციაზე გადაინაცვლა.

კანადელმა **მილოშ რაონიჩმა**, სან ხოსეში ტიტულის დაცვის მიუხედავად, ერთი საფეხურით უკან დაიწია და წინ გაუშვა ფრანგი **ჟილ სიმონი**.

**ATP**

| | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 960 |
| 2(2) . როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 855 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 480 |
| 4(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 865 |
| 5(5). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5 755 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 485 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 410 |
| 8(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 515 |
| 9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 3 125 |
| 10(10). რიშარ გასკე (საფ) | 2 880 |
| 11(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 540 |
| 12(12). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 535 |
| 13(14). ჟილ სიმონი (საფ) | 2 370 |
| 14(13). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 305 |
| 15(15). ხუან მონაკო (არგ) | 2 220 |
| 16(16). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 125 |
| 17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 990 |
| 18(22). ტომი ჰაასი (გერ) | 1 815 |
| 19(18). ანდრეას სეპი (იტა) | 1 730 |
| 20(19). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 720 |

**ATP. ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2 559 519 |
| 2. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 358 559 |
| 3. დავიდ ფერერი (ესპ) | 656 430 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 568 656 |
| 5. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 482 294 |
| 6. რიშარ გასკე (საფ) | 440 800 |
| 7. ჟერემი შარდი (საფ) | 331 362 |
| 8. ჟულიან ბენეტო (საფ) | 327 741 |
| 9. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 276 700 |
| 10. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 275 109 |
| 11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 274 625 |
| 12. ბობ ბრაიანი (აშშ) | 264 578 |
| 12. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 264 578 |
| 14. ჟილ სიმონი (საფ) | 254 754 |
| 15. მილოშ რაონიჩი (კან) | 239 862 |
| 16. რობინ ჰაასე (ჰოლ) | 211 502 |
| 17. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 210 846 |
| 18. იოგორ სისლინგი (ჰოლ) | 202 340 |
| 19. გრიგორ დიმიტროვი (ბულ) | 192 082 |
| 20. კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 190 844 |

**WTA**

| | |
|---|---|
| 1(2). სერენა უილიამსი (აშშ) | 10 590 |
| 2(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 10 325 |
| 3(3). მარია შარაპოვა (რუს) | 9 715 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 7 750 |
| 5(5). ნა ლი (ჩინ) | 6 130 |
| 6(6). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 5 400 |
| 7(7). სარა ერანი (იტა) | 4 820 |
| 8(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 510 |
| 9(9). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 3 835 |
| 10(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 570 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 215 |
| 12(12). ნადია პეტროვა (რუს) | 3 000 |
| 13(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 896 |
| 14(14). მარია კირილენკო (რუს) | 2 701 |
| 15(15). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 695 |
| 16(17). სლოან სტივენსი (აშშ) | 2 535 |
| 17(16). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 535 |
| 18(18). ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 2 065 |
| 19(20). ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 1 950 |
| 20(19). იულია გორგესი (გერ) | 1 915 |

**WTA. ფულადი მონაგარი**

| | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 2 903 651 |
| 2. ნა ლი (ჩინ) | 1 365 879 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 657 363 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 608 892 |
| 5. სლოან სტივენსი (აშშ) | 550 306 |
| 6. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 514 664 |
| 7. სარა ერანი (იტა) | 505 218 |
| 8. რობერტა ვინჩი (იტა) | 453 456 |
| 9. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 334 191 |
| 10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 305 227 |
| 11. ელენა ვესნინა (რუს) | 240 578 |
| 12. მონა ბარტელი (გერ) | 205 743 |
| 13. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 195 868 |
| 14. მარია კირილენკო (რუს) | 193 880 |
| 15. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 191 293 |
| 16. კეისი დელაკუა (ავსტრა) | 162 042 |
| 17. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 158 805 |
| 18. იულია გორგესი (გერ) | 155 747 |
| 19. ეშლი ბარტი (ავსტრა) | 152 417 |
| 20. ანა ივანოვიჩი (სერ) | 151 989 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგო რეკორდს მიუახლოვდა

ფანტასტიკურ ფორმაში იმყოფება რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი „ჩიკაგო“, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგის რეკორდს მიუახლოვდა. „ბლეკ ჰოქსმა“ ახალი სეზონის საწყის 15 მატჩში მინიმუმ ერთი ქულის დაგროვება მოახერხა. აქამდე ისტორიაში უკეთესი შედეგი სტარტზე ორი გუნდს ჰქონდა - „ედმონტონსა“ და „ანაჰაიმს“, რომლებმაც ზედიზედ 16 მატჩში შეძლეს ქულის მოპოვება. კიდევ ერთი წარმატებული მატჩი და „ჩიკაგო“ ამ გუნდებს გაუთანაბრდება.

გუშინ, ჩიკაგოელებმა შინ მიიღეს სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „ლოს ანჯელეს კინგზი“ და მეკარე **რეი ემერის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით პირველი ორი პერიოდი „მშრალად“ შეინახეს საკუთარი კარი. მართალია, მესამე პერიოდში „ლოს ანჯელესმა“ ორჯერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ „მეფეებმა“ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და ახლა, ყველა „ბლეკ ჰოქსის“ რეკორდს ელოდება.

ამერიკაში ჰოკეის დღე სრულდებოდა „რეინჯერსისა“ და „ვაშინგტონის“ მატჩით, რომელშიც მასპინძლებს 40 დარტყმა დასჭირდათ ახალგაზრდა **ბრეიდენ ჰოლტბის** კარის ასაღებად. თავი გამოიჩინეს **ჰაგელინმა** და **სტეპანმა**, რითაც „ნიუ იორკმა“ ბოლო ხუთ მატჩში მეოთხე გამარჯვებას მიაღწია და მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. „ვაშინგტონი“ კვლავ აღმოსავლეთის ბოლო ადგილზეა.

„ბოსტონმა“, რომელმაც სტუმრად 3:2 მოუგო „ვინიპეგს“, დაიბრუნა ლიდერობა საკუთარ დივიზიონში - გაუსწრო „მონრეალს“. „დათვების“ მხრიდან გადამწყვეტი გოლი რიცხობრივ უპირატესობაში **მარჩანდმა** გაიტანა. „ვინიპეგი“ საკუთარ კონფერენციაში მე-14 პოზიციაზეა.

რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა დასავლეთში. მაგალითად, მოულოდნელად კარგი შეხვედრა ჩაატარა „მინესოტამ“, რომელიც შინ იღებდა „დეტროიტს“. მეორე პერიოდის სტარტისთვის „ველურები“ 0:2-ს აგებდნენ **ბრუნერისა** და **დაციუკის** გოლების შემდეგ, მაგრამ ჩემპიონატის ერთ-ერთმა ყველაზე სუსტმა შეტევამ გამონახა თავის თავში ძალა და წინ გასვლა მოახერხა - 3:2. აღვნიშნავთ **დენი ჰიტლის** პირველ შაიბას ბოლო ათ მატჩში. გამარჯვების გოლი კი **ტორი მიტჩელმა** გაიტანა, რომლისთვისაც ეს იყო პირველი შაიბა სეზონში და „უაილდი“ დაეწია გათამაშების ცხრილში „დეტროიტს“. ეს გუნდები მეცხრე ადგილს იყოფენ.

ბოლო ადგილი დატოვა „კალგარიმ“, რადგან ამ გუნდმა ხასიათი გამოავლინა „დალასთან“ მატჩში - 4:3 გაიმარჯვა. „ფლეიმზმა“ გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე პერიოდში სამი უპასუხო შაიბა მიიღო და ახლოს იყო წაგებასთან. ყველაფერი ბოლო 20-წუთეულში შეიცვალა, როცა **ჰორაკმა, სტაიანმა** და **ბეგინმა** თავიანთი პირველი შაიბები გაიტანეს და „კალგარის“ ორი ქულის მოპოვებაში დაეხმარნენ. პლეი ოფის ზონამდე ამ გუნდებს სამ-სამი ქულა აკლიათ.

დღის ბოლო მატჩში „ვანკუვერი“ საკუთარ მოედანზე იღებდა „სენტ ლუისს“ და 3:4 ბულიტების სერიაში წააგო. მარცხის მიუხედავად, „კენაქსში“ გახარებულნი უნდა იყვნენ **რაიან კესლერის** დაბრუნებით, რომელმაც თავის მეორე მატჩში შეძლო პირველი შაიბის გატანა. „სენტ ლუისი“ კი მცირე კრიზისის შემდეგ, თანდათან გონს მოდის. ამ გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და დასავლეთში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

**ბაფალო-პიტსბურგი 3:4**

**1:2, 1:0, 1:2**

**გოლები:** 0:1 დუპუი-6 (ორპიკი-2, კუნიტცი-12), 0:2 კროსბი-7, 1:2 ჰოჯსონი-7 (ერჰოფი-7, ვანეკი-13), 2:2 ვანეკი-12 (ერჰოფი-8, ენისი-8), 3:2 ოტი-3 (გერბე-2, ჰეხტი-5), 3:3 დუპუი-7 (ლეტანგი-8, კროსბი-16), 3:4 მარტინი-2 (კროსბი-17, დუპუი-5).

**ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 3:2**

**2:0, 1:0, 0:2**

**გოლები:** 1:0 სიბრუკი-2 (კიტი-7, ფროლიკი-2), 0:2 ტეივზი-7 (კიტი-8, სიბრუკი-6), 3:0 შარპი-3 (ტეივზი-8, ოდუია-4), 3:1 მ. რიჩარდსი-3 (კოპიტარი-5, დაუტი-5), 3:2 მ. რიჩარდსი-4 (დაუტი-6, ჯასტინ უილიამსი-5).

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 2:1**

**0:1, 1:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 ჯ. კარლსონი-2 (რიბეირო-13, ფერი-3), 1:1 ჰაგელინი-6 (მაკდონაჰი-3, ნეში-9), 2:1 სტეპანი-3 (დელ ზოტო-5, ბ. რიჩარდსი-9).

**მინესოტა-დეტროიტი 3:2**

**0:1, 3:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბრუნერი-7 (დაციუკი-9, ზეტერბერგი-14), 0:2 დაციუკი-7 (ზეტერბერგი-15, ლაშოფი-1), 1:2 ჰიტლი-5 (მ. კოივუ-9, პარიზე-5), 2:2 ზუკერი-1, 3:2 ტ. მიტჩელი-1 (გრანლუნდი-5).

**დალასი-კალგარი 3:4**

**0:1, 3:0, 0:3**

**გოლები:** 0:1 კამალერი-4 (ტანგეი-8, ვიდემანი-7), 1:1 რუსელი-3 (იკინი-7, რაიდერი-5), 2:1 რ. სმიტი-2 (როი-8, ლ. ერიქსონი-5), 3:1 გარბუტი-3 (რობიდასი-6), 3:2 ჰორაკი-1 (ბოუმისტერი-4, ჩერვენკა-4), 3:3 სტაიანი-1 (სტემპნიაკი-5, გლენკროსი-3), 3:4 ბეგინი-1 (ბატლერი-1, კომო-2).

**ვინიპეგი-ბოსტონი 2:3**

**0:0, 2:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 ბურმისტროვი-2 (ბოგოსიანი-1, რედმონდი-3), 1:1 სეგუინი-3 (ხარა-4, პ. ბერჟერონი-6), 2:1 ე. კეინი-4 (ანტროპოვი-3, ბურმისტროვი-2), 2:2 პეი-2 (ბოიჩუკი-2, კელი-4), 2:3 მარჩანდი-8 (პ. ბერჟერონი-7, კ. ბურკი-2).

**ვანკუვერი-სტ. ლუისი 3:4 (ბ)**

**2:1, 0:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 კესლერი-1 (დ. სედინი-9, ჰ. სედინი-11), 1:1 ოში-5 (ბეკსი-9, პერონი-7), 2:1 ჰ. სედინი-1 (ბაროუზი-4, ედლერი-7), 2:2 ენდი მაკდონალდი-3 (ტარასენკო-6, ჯეკმენი-2), 2:3 ბერგლუნდი-8 (სობოტკა-4, კ. სტიუარტი-5), 3:3 რეიმონდი-5.

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), ენდი მაკდონალდი (სტ. ლუისი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ჩიკაგო-ლოს ანჯელესი

კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი

# შეჩერებული ლებრონი და საუკეთესო პოლი

2013 წლის 17 თებერვალს, 50 წელი შეუსრულდა ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელს **მაიკლ ჯორდანს**. ასეთ დღეს, NBA-ის „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარება სიმბოლური იყო.

პირველივე შეტევა **ბლეიკ გრიფინის** ბრწყინვალე დანკით დასრულდა და დასავლეთი წინ დიდი ხნით გავიდა. პირველ ნახევარში რთული იყო MVP-ის ტიტულისთვის ბრძოლაში მკაფიო ფავორიტის დასახელება. ჩამოყალიბდნენ ლიდერები ქულების მხრივ, მაგრამ ყველას ფონზე გამორჩეული იყო **კრის პოლის** ცხრა შედეგიანი პასი. სწორედ მისი გადაცემებით იყო განპირობებული გრიფინის შედეგიანობა.

მესამე მეოთხედი გუნდების შორეული არტილერიის დაპირისპირებად გადაიქცა, მაგრამ აქაც რთული იყო რომელიმე კალათბურთელის გამორჩევა, რომელიც, მაგალითად, 4-5 სამქულიანს ჩააგდებდა მეოთხედში. სხვათა შორის, ლებრონმა ამ მხრივ „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ რეკორდი დაამყარა - 23-ე სამქულიანი ჩააგდო და **რეი ალენის** შედეგი გააუმჯობესა. პირველ სამ მეოთხედში რვა ქულაზე დიდი სხვაობა არ დაფიქსირებულა, მაგრამ დასავლეთის უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. მხოლოდ მეოთხე მეოთხედში გაიზარდა ამ გუნდის სასარგებლოდ სხვაობა 10 ქულამდე.

სხვათა შორის, გუნდებმა შესრულებული სამქულიანების რაოდენობით გააუმჯობესეს შარშანდელი რეკორდი - 71 შორეული ტყორცნა 66-ის წინააღმდეგ, მაგრამ ზუსტი სამქულიანების მიხედვით რეკორდის გაუმჯობესება ვერ მოხერხდა, მხოლოდ განმეორდა (26).

ბოლო მეოთხედში აღმოსავლეთის რიგებში გამოირჩეოდნენ **პოლ ჯორჯი** და **კაირი ირვინგი**, რომლებმაც ერთად ექვსიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდეს და 14 ქულა დააგროვეს. დასავლეთში კი დამაჯერებლად მიდიოდა MVP-ის პირველი ტიტულისკენ კრის პოლი. ბოლო 12-წუთეულში მან 9 ქულა დააგროვა, ორჯერ სამქულიანი მოათავსა კალათში, აქედან ერთ-ერთი **ნოას** მხრიდან ზედმეტად აქტიური მეურვეობის მიუხედავად - ჩიკაგოელმა ცენტრმა ცხვირში იდაყვი ჩაარტყა „კლიპერსის“ გამთამაშებელს.

ამასობაში, **ლებრონ ჯეიმსმა** ოთხი სროლა ააცილა მიზანს. ასეთი უზუსტობის მიზეზი გახდა **კობი ბრაიანტი**, რომელიც იმ საღამოს ვერ ბრწყინავდა შედეგიანობით. სამაგიეროდ, „შავმა მამბამ“ შესანიშნავი დაცვა ითამაშა ჯეიმსის წინააღმდეგ და ორჯერ დაუფარა მას. სხვათა შორის, ლებრონმა თამაშიდან 38.9 პროცენტის სიზუსტით ისროლა, არადა, რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ერთ მატჩში ჰქონდა 40-ზე ნაკლები პროცენტი.



ლებრონ ჯეიმსი

მატჩის ბოლოს იყო ტაიმ-აუტები და დაძაბული დასასრული, მაგრამ 25 წამით ადრე, „მინუს ხუთზე“ პოლ ჯორჯის აცილებული სამქულიანის შემდეგ, შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო. დასავლეთმა ზედიზედ მესამედ დაამარცხა აღმოსავლეთი. MVP 20 ქულითა და 15 შედეგიანი პასით კრის პოლი გახდა. ის პირველი გამთამაშებელია **ალენ აივერსონის** (2004) შემდეგ, ვინც ეს საპატიო ჯილდო მოიგო. პოლი დღემდე უყვართ ნიუ ორლეანში - 2014 წლის „ყველა ვარსკვლავის უქმეების“ დედაქალაქში.

**დასავლეთი-აღმოსავლეთი 143:138**

**31:26, 38:39, 39:39, 35:34**

**დ:** დურანტი (30+6 მოხსნა), პოლი (20+15 პასი+4 ჩაჭრა), გრიფინი (19), ჰარდენი (15+6 მოხსნა), უესტბრუკი (14), პარკერი (13+5 პასი), ჰოვარდი (9+7 მოხსნა), ბრაიანტი (9+8 პასი), ლი (6), რენდოლფი (6+5 მოხსნა), დანკანი (2), ოლდრიჯი (0).

**ა:** ენტონი (26+12 მოხსნა), უეიდი (21+7 პასი), ჯეიმსი (19+5 პასი), ჯორჯი (17), ირვინგი (15), დენგი (10), ნოა (8+10 მოხსნა), ჩენდლერი (7+8 მოხსნა), ჰოლიდეი (6), ბოში (6), ლოპესი (3+5 მოხსნა), გარნეტი (0).

კრივი

# მეგობრები არიან



მაიკ ტაისონი

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონები - **ევანდერ ჰოლიფილდი** და **მაიკ ტაისონი** ქალაქ ჩიკაგოში შეხვდნენ ერთმანეთს. ჰოლიფილდი იქ ბარბექიუსთვის საკუთარი სოუსის სარეკლამო აქციას ატარებდა, ტაისონი კი ჩიკაგოში საკუთარი ცხოვრების შესახებ შექმნილ თეატრალურ შოუს წარმოადგენდა.

მაიკმა გაიგო, რომ აშშ-ის სამოყვარულო ნაკრებში მისი ყოფილი თანაგუნდელი, შემდეგ კი პროფესიულ რინგზე მთავარი მეტოქე ჩიკაგოში იყო და ჰოლიფილდისთვის დახმარების გაწევა გადაწყვიტა.

*„უბრალოდ, ევანდერის ნახვა მომინდა,* - ამბობს ტაისონი სააგენტო AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *მიყვარს ჰოლიფილდი. ჩემი ცხოვრება სამუდამოდ არის მასთან დაკავშირებული. ახლა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი დადგა, როცა შეგვიძლია თანამშრომლობა და რაიმე სასარგებლო საქმის წამოწყება. ის შესანიშნავი ადამიანია. ევანდერს 15 წლის ასაკიდან ვიცნობ“.*

■ ■ ■

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **ფლოიდ მეივეზერი** მომდევნო ბრძოლას 4 მაისს გამართავს. როგორც გაირკვა, ამ შეხვედრისთვის ამერიკელს მამამისი **ფლოიდ მეივეზერ-უფროსი** მოამზადებს. უფროსი ფლოიდი შეცვლის მოკრივის ბიძასა და თავის ძმას - **როჯერ მეივეზერს**, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.

როჯერი უმცროს ფლოიდს პროფესიული კარიერის დასაწყისიდანვე ავარჯიშებდა. ასე იყო 1998 წლამდე, სანამ უფროსი ფლოიდი არ გამოვიდა ციხიდან. მამამ და შვილმა ერთად ორი წელი იმუშავეს, მაგრამ მოკრივემ უთანხმოების გამო მამამისი დაითხოვა და ისევ როჯერთან დაბრუნდა.

*„მე და მამა ისევ ერთად ვიმუშავებთ“,* - დაწერა თავის „ტვიტერზე“ ჩემპიონმა.

როგორც გითხარით, მეივეზერი თავის მორიგ შეხვედრას 4 მაისს ჩაატარებს. მისი მეტოქე დღემდე არ არის ცნობილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოლბორგი-ჰელსინგბორგი | 3:3 |
| პიასტი-ზნოიმო | 3:0 |
| სონდერიისკი-ბრაშოვი | 0:1 |
| სტომილი-არკა | 1:1 |
| ლილესტრიომი-სტარტი | 2:1 |
| ტრომსიო-ტატრანი | 2:1 |
| ოლესუნდი-კალმარი | 2:1 |
| ელფსბორგი-მიდტიულანდი | 1:2 |
| სლიგო-ბალინამალარდი | 3:1 |
| აგფ ორჰუსი-ფარენსე | 2:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| მანჩესტერ იუნ-რედინგი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ქროული-დონკასტერი | 1:1 |
| **იტალია** | |
| სიენა-ლაციო | 3:0 |
| **სერია C1/A** | |
| ლეჩე-კომო | 2:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| სტ. პაული-კიოლნი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-მონაკო | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ეინდჰოვენი | 1:0 |
| ემენი-ფორტუნა | 3:2 |
| დორდრეხტი-დენ ბოში | 1:2 |
| იგლზი-ტოპ ოსი | 2:2 |
| ჰელმონდი-გრააფსხაპი | 2:2 |
| მაასტრიხტი-ვეენდამი | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| რიუ ავე-ბრაგა | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლუგანო-არაუ | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| ოფი-პლატანიასი | 1:3 |
| **თურქეთი** | |
| ქასიმფაშა-შივასი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა დემირი-ქაისერი | 1:3 |
| **ირლანდიის თასი** | |
| კლიფტონვილი-კორკი | 2:2 |
| კოლრეინი-შემროკი | 0:2 |
| გლენტორანი-სტ. პატსი | 1:0 |
| პორტდაუნი-დროგედა | 0:5 |
| **ისრაელი** | |
| ბნეი იეჰუდა-მაკაბი (თ-ა) | 2:3 |
| **პარაგვაი** | |
| დეპ. კარაპეგუა-სერო პორტენიო | 1:1 |
| **პერუ** | |
| სპორტი-სპ. კრისტალი | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| დრამასი-ოლიმპიაკოსი | 81:91 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-მონტეპასკი | 78:73 |
| **თურქეთი** | |
| მერსინი-ფენერბაჰჩე | 77:81 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| აილენდერსი-ფილადელფია | 0:7 |
| ნიუ ჯერსი-ოტავა | 1:2 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-კლადნო | 2:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მარსელი** | |
| როსოლი-**იანოვიჩი** | 2:6, 4:6 |
| კლიჟანი-**ტომიჩი** | 6:4, 3:6, 6:7 |
| **ATP. მემფისი** | |
| ჰარისონი-**კუბოტი** | 4:6, 7:6, 6:7 |
| **WTA. დუბაი** | |
| სტივენსი-**კირსტეა** | 7:5, 3:6, 2:6 |
| **ბარტოლი**-ზაკოპალოვა | 3:6, 6:4, 6:1 |
| **ჰსიე**-ლეპჩენკო | 6:1, 6:3 |
| პავლიუჩენკოვა-**ივანოვიჩი** | 3:6, 6:7 |
| **პუტინცევა**-რობსონი | 6:4, 2:6, 7:6 |
| **WTA. მემფისი** | |
| **ფლიპკენსი**-პეერი | 6:2, 6:2 |
| **ჰემპტონი**-მუგურუსა | 6:3, 6:3 |
| **ცურენკო**-სანჩესი | 6:2, 6:2 |
| ჩეპელოვა-**არვიდსონი** | 4:6, 4:6 |
| **ერაკოვიჩი**-ბეკი | 4:6, 7:6, 6:4 |

TV პროგრამა

**19 თებერვალი. სამშაბათი**

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. არსენალი-ბაიერნი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. ლევერკუზენი-აუგსბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ტვენტე-ტილბურგი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ეინდჰოვენი-უტრეხტი.
**21:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ჩემპიონთა ლიგის სტუდია.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. პორტუ-მალაგა (LIVE).
**01:45** ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-იტალია.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ესტუდიანტესი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის უქმეები. დებიუტანტებისა და მეორეწლიანების მატჩი.
**14:00** NBA ACTION.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ნაპოლი-პლზენი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ლესტერი.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია. მიმოხილვა.
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ტოტენჰემი-ლიონი.
**22:00** კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის უქმეები. კონკურსები.
**00:30** კალათბურთი. NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**14:45** სპორტ-NEWS.
**15:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. მონტეპასკი-მაკაბი.
**17:15** სპორტ-NEWS.
**17:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-პსჟ.
**19:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ლეიკერსი.
**22:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 7 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 3 | 6 | (წვიმა) |
| ბათუმი | 5 | 9 | (წვიმა) |
| ფოთი | 4 | 7 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 2 | 6 | (წვიმა) |
| გორი | -1 | 6 | (თოვლჭყაპი) |
| თელავი | 0 | 8 | (წვიმა) |
| სიღნაღი | -1 | 6 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -9 | -1 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -6 | -1 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -3 | 5 | (თოვლი) |
| მესტია | -6 | 1 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2097 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6568 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5685 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5018 |

ფორმულა 1

# უფროსი ვილნევი სიკვდილის პირას



ტრაგედიის ადგილი

ცუდი ამბავი შეემთხვა **ჟაკ ვილნევ-უფროსს.** ცნობილმა კანადელმა ავტომრბოლმა სერიოზული ტრავმა მიიღო ვალკურში მოტოციგებით შეჯიბრების დროს. როგორც Radio-Canada იტყობინება, ავტომრბოლი მძიმე მდგომარეობაში შერბუკის საავადმყოფოს რეანიმაციაში გადაიყვანეს.

ვილნევმა მრავალრიცხოვანი მოტეხილობა მიიღო, გარდა ამისა, ფილტვი გაუსკდა. ექიმებს უკვირთ, ასეთი ტრავმებით კანადელი პირდაპირ ტრასაზე რომ არ გარდაიცვალა.

59 წლის ვილნევის ციგა ტრასიდან გადავარდა რბოლის სხვა მონაწილესთან, ამერიკელ **მაიკლ სუსისთან** შეჯახების შემდეგ. დაზარალებული საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაიყვანეს.

ჟაკ ვილნევი ფორმულა 1-ში მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონის - **ჟაკ ვილნევის** ბიძაა. ამ უკანასკნელს სახელი სწორედ ბიძის საპატივცემულოდ დაარქვეს.

# ფერარი საუკეთესო ბრენდია

 იტალიური კომპანია „ფერარი“, რომელიც კონცერნ FIAT-ის საკუთრებაა, სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში 500 ყველაზე ცნობილი კომპანიის რეიტინგს, რომელიც Brand Finance-მა შეადგინა.

„ფერარიმ“ უმაღლესი შეფასება მიიღო ექსპერტებისგან და უკან ჩამოიტოვა Google, Coca-Cola, PwC და Hermes. მართალია, იტალიური კომპანია თავისი სიდიდითა და ფინანსური მოგებით ბევრ თავის კონკურენტს ჩამორჩება, მაგრამ რეიტინგის შედგენისას ითვალისწინებდნენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა რენტაბელობა, ერთი კლიენტისგან საშუალო შემოსავალი, მარკეტინგის ეფექტურობა და ბრენდის პოპულარობა.



*„ყოველთვის სასიამოვნოა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კომპანიების სიის სათავეში ყოფნა. ეს მიღწევა იმაზე მიუთითებს, რომ კრიზისულ პერიოდშიც იტალიას შეუძლია მსოფლიოს ბიზნესს შესთავაზოს საჭირო გამოცდილება. ეს არის უნიკალური პროდუქტის აღიარება, რომელსაც ჩვენი თანამშრომლები აწარმოებენ. მათი წყალობით მოვიპოვეთ ეს ჯილდო“*, - განაცხადა „ფერარის“ პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ.**

# ჰემილტონმა ფეტელს გაუსწრო



ჰემილტონი Top Gear-ში

გასულ კვირას, „მერსედესის“ ბრიტანელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** მეორედ მიიღო მონაწილეობა BBC-ის პოპულარულ პროგრამა Top Gear-ში. კვირას, ეს გადაცემა ბრიტანულ ტელეეთერში გავიდა და როგორც გაირკვა, „მერსედესის“ პილოტმა ტრასის ახალი რეკორდი დაამყარა Suzuki Liana-ის ავტომობილით.

ლუისმა საუკეთესო წრე წუთსა და 42.9 წამში გაიარა, რაც ერთი წამით უკეთესია წინა რეკორდზე, რომელიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, „რედ ბულის“ პილოტ **სებასტიან ფეტელს** ეკუთვნოდა.

*„მოხიბლული ვარ ჩემი დროით, - განაცხადა ლუისმა, - მაგრამ მაინც იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ ვერ შევძელი ყველა დროის საუკეთესო შედეგის ჩვენება“.*

მოტოგრანპრი

# სტოუნერი არ წასულა?

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი**, რომელმაც გასული სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა, წელს, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს მსოფლიოს ჩემპიონატში, - იტყობინება „გაძეტა დელო სპორტი“.

იტალიური გამოცემის ცნობით, სტოუნერმა, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე ეტაპში, თუ გრანპრის ორგანიზატორებისგან უაილდქარდს მიიღებს.

სტოუნერის სავარაუდო დაბრუნებას კომენტარი გაუკეთა „ჰონდას“ ხელმძღვანელმა **ლივიო სუპომ.**

*„ეს შესანიშნავია, მაგრამ ამ მომენტში არაფრის თქმა არ შემიძლია. სავსებით ცხადია, რომ თუ თავად კეისი მოისურვებს დაბრუნებას, მას ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეექმნება“*, - ამბობს სუპო.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



# 13 მილიონით ნაკლები აუდიტორია

დაძაბული და საინტერესო სეზონის მიუხედავად, 2012 წელს ფორმულა 1-ის სატელევიზიო აუდიტორიამ იკლო. გასულ წელს, „სამეფო რბოლების“ ეტაპებს 502 მილიონმა ადამიანმა უყურა, რაც 13 მილიონით ნაკლებია 2011 წელთან შედარებით.

ფორმულა 1-ის აუდიტორიის კლება, ძირითადად, იმით არის განპირობებული, რომ ჩინეთში დაეცა „დიდი ცირკის“ პოპულარობა. ეს კი იმით აიხსნება, რომ სეზონში რამდენიმე გრანპრი ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების თარიღს დაემთხვა.

აღსანიშნავია, რომ ფორმულა 1-ის ტელეაუდიტორიის დათვლისას გაითვალისწინეს ყველა ადამიანი, ვინც ერთი წლის განმავლობაში, მინიმუმ 15 წუთი უყურა რბოლების ტრანსლიაციას.

*„ზოგიერთ ქვეყანაში აუდიტორიის ზრდამ ვერ შეძლო ჩინეთში ინტერესის კლების კომპენსირება“*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა შექმნილ სიტუაციას ფორმულა 1-ის პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა.**

აღვნიშნავთ, რომ 2012 წელს დაფიქსირდა ტელეაუდიტორიის ზრდა ბრაზილიაში, ესპანეთსა და იტალიაში, და კლება - აშშ-ში, ბრიტანეთში, რუსეთსა და ჩინეთში.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608